ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სისხლის სამართლის მიმართულების სტუდენტის

მარიამ ჟღენტის

საკონტაქტო მონაცემები :

ტელ : +995 599 381612

ელ.ფოსტა : mzhgenti@gmail.com

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე :

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინება პირობით ვადამდე გათავისუფლებისას

თემის ხელმძღვანელი : მორის შალიკაშვილი, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი.....3

შესავალი.....4

თავი I. მოკლე ისტორიული ექსკურსი.....7

თავი II. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი და სამართლებრივი მნიშვნელობა.....9

§ 1. არასრულწლოვნის ცნება.....9

§ 2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმთავრესი პრინციპი.....12

§ 3. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპთან.....14

თავი III. პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საშუალება.....16

§ 1. არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა, როგორც უკიდურესი ღონისძიება.....16

§ 2. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.....18

§ 3. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება.....20

§ 4. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.....25

თავი IV. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სასჯელის მოხდის პერიოდში.....28

§ 1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრუწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.....28

§ 2. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და აღსრულება, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საშუალება.....31

§ 3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადება.....34

თავი V. არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის განხორციელების რისკ-ფაქტორები.....36

§ 1. არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.....36

§ 2. სასჯელის მოხდის შემდგომ არასრულწლოვნის რესოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.....39

თავი VI. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ.....42

§ 1. არასრულწლოვანთა განმეორებითი დანაშაულის პრევენცია.....42

§ 2. პრობაცია და საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა არასრულწლოვან მსჯავრდებულზე.....44

§ 3. სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა არასრულწლოვნებზე ევროპის ქვეყნებში.....47

§ 4. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტი.....49

დასკვნა.....52

ბიბლიოგრაფია.....55

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ავტ. - ავტორი

ამკ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

ა.შ. - ასე შემდეგ

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

გად. - გადაწყვეტილება

გვ. - გვერდი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

ჟურნ. - ჟურნალი

რედ. - რედაქტორი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. - სხვა

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეწოდება მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე პროცესს.[1] აღნიშნული პროცესი მოიცავს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ურთიერთობას სამართალდამცავ ორგანოებთან, პრობაციის სააგენტოებთან, სასამართლო სტრუქტურებთან, სამთავრობო უწყებებთან, ასევე მოზარდის აღზრდისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებს პენიტენციურ სისტემაში.

არასრულწლოვანს არ გააჩნია ნებელობითი და ინტელექტუალური სიმწიფე, ფსიქიკის სტაბილური მდგომარეობა და თავისი ქმედების სათანადო გააზრების უნარი.[2] აღნიშნული გარემოებები არასრულწლოვანს არ აძლევს შესაძლებლობას სწრაფად გაერკვეს სიტუაციაში, აირჩიოს სწორი, მართებული ორიენტაცია და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სრულ თანხვედრაში მოდის კანონის მოთხოვნებთან. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისაგან განსხვავდებიან გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს გარემოებები წარმოადგენს მოზარდთა მიმართ მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს.

არასრულწლოვანთა დანაშაული არის ნორმალური, ეპიზოდური და ყველა დროში გავრცელებული.[3] ამავე დროს, თავისუფლების აღკვეთას მძიმე შედეგები მოაქვს გარდატეხის ასაკში მყოფი არასრულწლოვნისათვის. ბავშვების მიერ განხორციელებულ დანაშაულზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია ხშირად გამოიხატება მათ მიმართ რეპრესიების გაძლიერებით, სანქციების გაზრდით, პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებით.

გამოსავალი კი პრობლების არსის შესწავლაში შეიძლება ვეძიოთ, გამოვიკვლიოთ თუ რატომ ჩადის არასრულწლოვანი დანაშაულს, რა გარემოებები უბიძგებს მას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისაკენ, შევისწავლოთ დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი წარსული ცხოვრება, საყოფაცხოვრებო პირობები და სოციალური გარემო. აღნიშნული გარემოებების შესწავლის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები.

სასჯელისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება წარმოადგენს წახალისების ფორმას, რომელიც არასრულწლოვანს აძლევს სტიმულს, თავი შეიკავოს შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებებისაგან. ამასთანავე, პირობით ვადამდე გათავისუფლება

---

[1] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016. გვ. 3

[2] ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2013, გვ. 10

[3] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ. 56

არის მოლოდინი იმისა, რომ მოზარდი შეძლებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრებას.

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნებაზე, დადგინდეს ის გარემოება, თუ რამდენად შესაძლებელია მოზარდის სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ მისი რესოციალიზაცია.[4] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა ემსახურებოდეს მოზარდის რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციას.[5]

ნაშრომის შესწავლის საგანს წარმოადგენს პირობით ვადამდე გათავისუფლებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინება. ნაშრომის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხორციელდება სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნის ინტერესების დეტალური შესწავლა და ანალიზი. უნდა დადგინდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნის გამოსწორებისათვის გატარებული ღონისძიებები, გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყოფს თუ არა ბავშვის გამოსწორებას, მის აღზრდას კანონმორჩილ მოქალაქედ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დადებითი ზეგავლენა შენარჩუნებულ იქნას არასრულწლოვნის მიერ დაწესებულების დატოვების შემდეგაც. აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად არის შესაძლებელი სასჯელის მიზნების მიღწევა არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში.

შესწავლის საგანს აგრეთვე წარმოადგენს ის, თუ რა მაპროვოცირებელი ფაქტორები განაპირობებენ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას, რამდენად მაღალია მოზარდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი, პრევენციული ღონისძიებები, რომელიც უნდა გატარდეს, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა.

შესავალი და დასკვნითი ნაწილების გარდა, წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან, რომლებიც თავის მხრივ, დაყოფილია ქვეთავებად. პირველ თავში გადმოცემული იქნება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის წარმოშობისა და განვითარების შესახებ ისტორიული ექსკურსი.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში შესწავლილ იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი და სამართლებრივი მნიშვნელობა. ასევე, განხილულ იქნება არასრულწლოვნის ცნების სხვადასხვაგვარი

---

[4] არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2009, გვ. 27

[5] მიქანაძე გ., „პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა“, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012. გვ. 45

განმარტება და მოხდება ყურადღების გამახვილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის სასჯელის მიზნებთან კავშირზე.

მესამე თავში საუბარი იქნება პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემაზე და მის კავშირზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპთან. აქცენტი გაკეთდება აღნიშნული სისტემის საკანონმდებლო რეგულირებაზე საქართველოსა და მსოფლიოში. ყურადღების გამახვილება მოხდება გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე.

ნაშრომის მეოთხე თავში საუბარი შეეხება, იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოზარდის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა. აქცენტი გაკეთდება არასრულწლოვნის პირობით გათავისუფლებისათვის მომზადებასა და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასა და აღსრულებაზე, როგორც მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის საშუალებაზე.

მეხუთე თავში მოხდება იმ გარემოებებისა და მიზეზების შესწავლა, რომელიც იწვევს არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენას. მსჯელობის საგანი იქნება რესოციალიზაციის პრობლემა, რომელიც არასრულწლოვნის სასჯელის მოხდის შემდგომ იჩენს ხოლმე თავს.

ნაშრომის მეექვსე, დასკვნით ნაწილში საუბარი იქნება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. ასევე, შესწავლილ იქნება არასრულწოვნის გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის სახელმწიფო დაწესებულებები, დანაშაულის პრევენციის ცენტრი და პრობაციის ეროვნული სააგენტო. ყურადღება გამახვილდება მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე და მნიშვნელობაზე, მოზარდთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომში არსებული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით საჭირო გახდა არაერთი კვლევის მეთოდის გამოყენება, მათ შორის : ნორმატიულ-დოგმატური, ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. სწორედ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა საკვლევი თემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ფართო ჭრილში დანახვა, საერთაშორისო სტანდარტების დეტალური შესწავლა და ანალიზი.

თავი I

მოკლე ისტორიული ექსკურსი

ისტორიულად, არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაცვის პირველ მცდელობებს ადგილი ჰქონდა არა სისხლის, არამედ, სამოქალაქო სამართალში, კერძოდ, იმპერატორ იუსტინიანეს დიგესტებში. აღსანიშნავია ასევე, მეთორმეტე ტაბული, სადაც პირველად მოხდა სასჯელის პატიების პრინციპის ასახვა.[6]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი ნორმების განვითარების ტენდენცია მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება.[7] საზოგადოებრივმა მოძრაობებმა და ხალხის პროტესტმა საბოლოოდ შექმნა კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისადმი განსხვავებული მიდგომები. თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური გარდატეხა მოახდინა 1899 წელს, ქალაქ ჩიკაგოში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი პირველი სასამართლოს შექმნამ.

ცვლილებების ის ტალღა, რომელიც მე-19 საუკუნეში დაიწყო კიდევ უფრო განმტკიცდა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, რამაც „ბავშვთა უფლებების მოძრაობის" ჩამოაყალიბებას შეუწყო ხელი.[8] აღნიშნულმა ცვლილებებმა განავითარა სასჯელების შეცვლასთან დაკავშირებული მიდგომები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვადასხვა სისტემები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია კეთილდღეობისა და მართლმსაჯულების მოდელები.

მართლმსაჯულების მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, აღნიშნავს, რომ დამნაშავეობა პირადი პასუხისმგებლობის საკითხია და არასრულწლოვანმა დამნაშავემ მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების პროპორციული სასჯელი უნდა მიიღოს და სამართალდამცავმა ორგანოებმა მოზარდი დამოუკიდებელ პიროვნებად უნდა აღიქვან. აღნიშნული სისტემის მომხრეები ითხოვენ კლასიკური სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართ.

მართლმსაჯულების მოდელის საპირისპიროდ არსებული კეთილდღეობის/ბავშვთა უფლებების მოდელის თანახმად, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზებია ის ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ამიტომ სახელმწიფომ მოზარდის ბრალეულობის საკითხი უკანა პლანზე უნდა

---

[6] Dünkel F., „Juvenile justice systems in Europe – current situation, reform developments and good practices", 2014, P. 5

[7] Tonry, M & Doob, AN (eds.), "Youth Crime and Justice", Chicago, London: University of Chicago Press (Crime and Justice vol. 31), 2004, P. 8

[8] Barry C.Field. "The evolution of the juvenile court", 2017, P. 12

გადაწიოს.[9] ბავშვთა უფლებების/კეთილდღეობის მოდელისათვის დამახასიათებელია : არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის უკიდურეს შემთხვევებში გამოყენება, მოზარდებისათვის სპეციალური კანონების, ცალკეული სისტემების შექმნა, განრიდების იდეის მხარდაჭერა და სპეციალურ სასჯელთა სისტემები.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების პირველი მოდელი, შოტლანდიელმა მეცნიერმა და მკვლევარმა, ალექსანდრე მაკონოჩიმ, 1840 წელს ჩამოაყალიბა.[10] აღნიშნული მოდელის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ პატიმრებს, რომლებიც სამაგალითო ქცევითა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით გამოირჩეოდნენ. სანიმუშო ქცევით გამორჩეულ პატიმრებს ურიგდებოდათ სპეციალური „წამახალისებელი“ ბარათები. განსაზღვრული რაოდენობის ბარათების დაგროვების შემთხვევაში მსჯავრდებული სასჯელის მოხდამდე პირობით ვადამდე თავისუფლდებოდა. პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, მას ეკისრებოდა გარკვეული მოვალეობები. აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხდებოდა მისი ციხეში უკან დაბრუნება. პირობით ვადამდე გათავისუფლების თანამედროვე მოდელის იდეა კი 1846 წელს, ფრანგმა მეცნიერმა და მაგისტრმა, არმონდ ბონევილ დე მარსანჟიმ, შესთავაზა საფრანგეთის სამოქალაქო ტრიბუნალს.

საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის პარალელურად, 1999 წლის 22 ივლისს, მიღებულ იქნა პატიმრობის შესახებ კანონი, რომელიც ითვალისწინებდა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემას.[11] სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებდა მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სასამართლო. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღებოდა პატიმრის პიროვნული თვისებები, ოჯახური პირობები, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდილი სასჯელის ვადა და სხვა გარემოებები.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. აღნიშნული პრინციპის გამოყენება ძირითადად 1800-იანი წლებიდან დაიწყო, ბავშვის მეურვეობის საკითხის გადასაწყვეტად.[12] ბავშვის კეთილდღეობა და საუკეთესო ინტერესები წარმოადგენდა ძირითად დასაყრდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

---

[9] Barry C.Field. “The evolution of the juvenile court”, 2017, P. 13

[10] Cavendar G., Parole: A Critical Analysis. Port Washington: Kennikat Press, 1982, P. 55

[11] ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი მ., ხერხეულიძე ი., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბილისი 2018, გვ. 277

[12] Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children’s Rights and Cultural Values, UNICEF, 1996, P. 87

იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უპირველეს წყაროდ, „ბავშვის უფლებების შესახებ“ დეკლარაცია განიხილება, რადგან აღნიშნული დოკუმენტი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობას აღიარებს.[13] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპის დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა“ და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამართლებრივ დოკუმენტებში.

მე–20 საუკუნის 80-90-იან წლებში კი საერთაშორისო სამართალში იქმნება მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას უკავშირდება, მათ შორის : გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1989 წელს მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, 1990 წელს მიღებული „სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, ე.წ. „რიადის პრინციპები“ და გაეროს მიერ 1985 წლის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“, ე.წ. „პეკინის წესები“.

თავი II

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი და სამართლებრივი მნიშვნელობა

§ 1. არასრულწლოვნის ცნება

სხვადასხვა ქვეყანაში ტერმინს „არასრულწლოვანი“ და „ბავშვი“ განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ. არასრულწლოვნის ან მოზარდის საერთო ცნება არ არსებობს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნის ასაკი წარმოადგენს პერიოდს, ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის.[14] ამასთანავე, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით არასრულწლოვნის (ბავშვის) ცნება, უმეტეს შემთხვევაში, 18 წლის ასაკს უკავშირდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად : „ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ ის 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე

[13] Hammarberg T., The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults, Strasbourg, 2008, P. 28

[14] ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 14

არ აღწევს სრულწლოვანებას.” გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, გაითვალისწინონ არასრულწლოვნის ასაკი და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის მნიშვნელობა.

„პეკინის წესების“[15] თანახმად, სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნებას, ასეთი ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ამგვარი ასაკის დადგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოზარდის შესაძლებლობაზე, გაანალიზოს და შეიგრძნოს ჩადენილი ქმედების ანტისაზოგადოებრივი და ანტისოციალური ხასიათი.

გაეროს წესების „თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, („ჰავანის წესები“) თანახმად, არასრულწლოვნად მიიჩნევა ყველა ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. დოკუმენტის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს ზრდასრულებთან მოპყრობისაგან.

არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას, „ჰავანის წესების“ თანახმად, განაპირობებს რამდენიმე გარემოება: მოზარდები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, ადვილად ექვემდებარებიან გამოსწორებას და სწავლობენ ქცევის სხვაგვარ წესებს; ბავშვი ნაკლებად აგებს პასუხს თავის ქმედებაზე, მისი პასუხისმგებლობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად; არასრულწლოვნები, რომლებიც სასჯელს ციხეში იხდიან, დაუცველნი არიან ძალადობისგან და ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად : „არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.“ ამასთანავე, აღნიშნული კოდექსით დადგენილი ნორმები ასევე ვრცელდება 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი განსხვავებულია. გერმანიაში, იტალიაში, იაპონიაში, ავსტრიაში, ხორვატიაში, ესტონეთსა და ესპანეთში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი -14 წელია; ნიდერლანდებში, ბელგიაში, ბრაზილიაში, კანადაში, ისრაელში, ირლანდიაში, აღნიშნული ზღვარი -12 წელს უტოლდება.[16]

---

[15] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“, მუხლი 4

[16] Junger-Tas J., Many Faces of Youth Crime: Contrasting Theoretical Perspectives on Juvenile Delinquency across Countries and Cultures, New York, NY, USA: Springer, 2012, P.27

ჩეხეთის რესპუბლიკაში, დანიაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, პოლონეთსა და შვედეთში სიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი - 15 წლიდან იწყება.[17] საფრანგეთში აღნიშნული მინიმალური ზღვარი -13 წელს უტოლდება.[18] მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე მაღალი ზღვარი ფიქსირდება ურუგვაიში, პერუსა და კოლუმბიაში - 18 წელი, ხოლო ყველაზე დაბალი ზღვარი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის 33 შტატშიც კანონი არ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს.

იურიდიულ ლიტერატურაში, გარდატეხის ასაკში განვითარებული ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესების გამო, საუბარია არასრულწლოვნის შეზღუდულ შერაცხადობაზე.[19] სწორედ აღნიშნული გარემოებები არ აძლევს არასრულწლოვანს შესაძლებლობას, სწრაფად გაერკვეს სიტუაციაში, აირჩიოს სწორი ორიენტაცია და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სრულ თანხვედრაში მოდის კანონის მოთხოვნებთან.

არასრულწლოვანს ჯერ კიდევ არ გააჩნია ნებელობითი და ინტელექტუალური სიმწიფე, ფსიქიკის სტაბილური მდგომარეობა და თავიანთი ქმედების სათანადოდ გააზრების უნარი. გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდს უჭირს ემოციების მოთოკვა, მისი ქცევა ხშირად იმპულსურია, რაც იმას მოწმობს, რომ ნებელობითი ქცევა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ამიტომაც, სავსებით მისაღები და გამართლებულია, რომ დამნაშავის არასრულწლოვნება კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისათვის სასჯელის შემსუბუქების ერთ-ერთ საფუძველად არის მიჩნეული.

არასრულწლოვანი არ არის სათანადოდ მომწიფებული იმისათვის, რომ მან სრულად გაითავისოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხასიათი, შედეგი.[20] მოზარდი უფრო მეტად განათლების სუბიექტი უნდა იყოს, ვიდრე სისხლის სამართლის დასჯას დაქვემდებარებული პირი, რამაც პირიქით შეიძლება გაზარდოს, არასრულწლოვანთა მიერ, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა.

---

[17] Gerry M,."Age and Criminal Responsibility." 2005 Vol 2. Ohio State Journal of Criminal Law. 493, P. 89

[18] Lippman M., Coteremporary criminal law; Concepts,cases and controversies, 2018, P.76

[19] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 56

[20] ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 16

§ 2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმთავრესი პრინციპი

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიდგომისა და მათთან მოპყრობის ფორმები და მეთოდები საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მოხდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რომელიც 2016 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.[21] აღნიშნული კოდექსით პირველად მოხდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინება.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებში შედის მოზარდის ჯანმრთელობის, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, განათლების, კეთილდღეობისა და სხვა ინტერესები. ამასთანავე აუცილებელია, რომ აღნიშნული ინტერესების განსაზღვრა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ იძლევა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების ამომწურავ ჩამონათვალს და კანონის განმარტებას სამართალშემფარდებელს მიანდობს.

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები არ არის სფერო, რომელიც ერთჯერადად უნდა შეფასდეს და იქნეს გამოყენებული. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება არის უნიკალური საქმიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად, თითოეული მოზარდის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შემდეგ.[22]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას უნდა მოხდეს ისეთი ელემენტების გათვალისწინება, როგორებიცაა : არასრულწლოვის სქესი, ასაკი, რასა, პიროვნული მახასიათებლები, რელიგიური კუთვნილება, შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად : „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“ აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მოცემულია კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან მოპყრობის სტანდარტები, რომლის თანახმადაც, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნები.

---

[21] ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი მ., ხერხეულიძე ი., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2018, გვ. 54

[22] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1, 2017 გვ. 75

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში დასახელებულია არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების საჭიროების ობიექტური საფუძვლები, მათ შორის აღსანიშნავია : სრულწლოვნებისგან განსხვავებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური განვითარების დონე, საგანმანათლებლო და ემოციური საჭიროებები. სწორედ აღნიშნული განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და მოზარდების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, კანონდამრღვევი არასრულწლოვნების მიმართ სისხლის სამართლის ტრადიციული ამოცანების, როგორსაც წარმოადგენს რეპრესია და დასჯა, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებით ჩანაცვლებისაკენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ძირითად აქცენტს სწორედ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აკეთებს. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ასრულებს ერთგვარი მედიატორის როლს უფლებათა შორის კონფლიქტის არსებობისას.[23]

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპს სისხლის სამართლის სხვა პრინციპებთან შედარებით უპირატესობა გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში სხვა პრინციპი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ ის არ ეწინააღმდეგება მოზარდის საუკეთესო ინტერესს.

რამდენიმე უფლებას შორის კონფლიქტის არსებობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.[24] შესაძლებელია ერთმანეთს დაუპირისპირდეს ბავშვის უფლება იქონიოს კონტაქტი თავის მშობლებთან და უფლება, იყოს დაცული ყოველგვარი ძალადობისგან. მსგავს შემთხვევაში, ერთადერთ გამოსავალს მოზარდის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შესაბამისად მოქმედება წარმოადგენს.[25]

---

[23] ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის ჟურნალი "სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 №1", გვ. 17

[24] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1", 2017, გვ.78

[25] შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი №2", 2016, გვ.275

§ 3. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების მიმართება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპთან

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანს წარმოადგენს მოზარდის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გათვალისწინებული მიზნები თანხვედრაში მოდის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრიციპთან.[26] მსგავს შემთხვევებში, მთავარ ამოსავალ წერტილს, არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა, მასზე ზრუნვა და მისთვის დახმარების გაწევა წარმოადგენს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშია მოცემული, ეფექტური ინტერვენციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რადგან ფოკუსირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა აღზრდაზე, განათლებაზე, დახმარებასა და სოციალიზაციაზე.[27] ზემოთ აღნიშნული ქმედებების გატარების აუცილებლობა და უპირატესობა, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან მიდგომის თვალსაზრისით, დაადგინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება სასჯელის მიზნებად დაასახელა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში არსებული სასჯელის მიზნების იერარქიული წყობა განსხვავდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არსებული სასჯელის მიზნების იერარქიისგან.[28]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირველ ადგილზე სამართლიანობის აღდგენაა მითითებული, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს დამნაშავის რესოციალიზაციაა ნახსენები, ხოლო საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პირველ ადგილს რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია იკავებს და მას მოსდევს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი.

კანონმდებელს აღნიშნულ კოდექსებში, სასჯელის მიზნების განსხვავებული იერარქიული წყობის წარმოჩენით უნდოდა ეთქვა, რომ მოზარდისათვის სასჯელის შეფარდების უპირველეს მიზანს, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული

---

[26] ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1“, 2017,გვ.79

[27] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 43

[28] ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016 გვ. 84

სასჯელის უმნიშვნელოვანეს მიზანი - სამართლიანობის აღდგენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ნახსენებიც კი არაა, ამით კანონმდებელს იმის თქმა სურდა, რომ არასრულწლოვნის დასჯა არ ემსახურება სამართლიანობის აღდგენას.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი, მოკლევადიან პერსპექტივაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის საზოგადოებისაგან იზოლაციით, მისთვის თავისუფლების აღკვეთით მიიღწევა. გრძელვადიანი პერსპექტივით, აუცილებელია სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით მიიღწევა. სწორედ პრევენციული ღონისძიებები უზრუნველყოფს, არასრულწლოვნის მიერ, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას.[29] აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პრევენცია მიმართულია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესუსტებაზე, მოზარდი სამართალდამრღვევების ქცევის გამოსწორებასა და არასრულწლოვნების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან თავშეკავებაზე.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების გამოსწორებით, საზოგადოებაში კანონმორჩილ მოქალაქეებად მათი დაბრუნებით, ასევე დანაშაულის მაპროვოცირებელი გარემოებების შემცირებით, მოზარდებისათვის დახმარების გაწევით მიიღწევა.[30]

პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვა. სწორედ არასრულწლოვნის ინტერესებში შედის მისი განათლება, განვითარება, დასაქმება, რესოციალიზაცია.

არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია გულისხმობს მოზარდის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ასევე, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას, პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად მომზადებას.[31]

სახელმწიფოს მხრიდან, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის, ყველა სათანადო საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის აღსანიშნავია : მოზარდის განათლება, პროფესიული ტრენინგები, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები და ფიზიკური განვითარება. ამასთანავე, ზემოაღნიშნული საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ მახასიათებლებს. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის სოციალური და

[29] ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, სამართლის ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი №4 (43) 14", თბილისი, 2014, გვ. 23

[30] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 17

[31] ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 99

კრიმინალური წარსული, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და შესაძლებლობები, დაკისრებული სასჯელის სახე და ზომა, გათავისუფლების პერსპექტივები და სხვა. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ ხორციელდება, ამასთანავე უნდა უზრუნველყოფდეს მოზარდის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

თავი III

პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საშუალება

§ 1. არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა, როგორც უკიდურესი ღონისძიება

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი იცავს ადამიანის თავისუფლების უფლებას. ადამიანის თავისუფლების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მიეკუთვნება უფლებათა იმ კატეგორიას, რომელთა შეზღუდვაც დასაშვებია.[32] აღნიშნული უფლების შეზღუდვა აუცილებელია განხორციელდეს კანონით მკაფიოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.[33]

სისხლის სამართალის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკის მთავარი გამოწვევაა უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ჩანაცვლება ალტერნატიული სასჯელებით.[34] თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ე.წ. „ultima racio", მაშასადამე, უკანასკნელ საშუალებად უნდა განიხილებოდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება. ამ დროს ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთა, რაც მის შემდგომ განვითარებას შეუქმნის საფრთხეს.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლი განმარტავს, რომ დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა, უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენებითაც არის შესაძლებელი. ნებისმიერი სახის ჩარევის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უმნიშვნელოვანესი გარემოება - აღდგენითი

[32] კუბლაშვილი კ, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019, გვ. 56

[33] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 63

[34] ნაჭყებია გ., თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 177

მართლმსაჯულების და საზოგადოებრივი სანქციების უფრო ხშირად გამოყენების თაობაზე, ამასთანავე პატიმრობის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ მძიმე დანაშაულებზე გამოყენების შესახებ.

გაეროს წესები „თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ („ჰავანის წესები“) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელ ღონისძიებას და გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად მცირე დროის მონაკვეთით. ამასთანავე, სანქციების შეფარდება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ინტერესს, ჩადენილი დანაშაულის, მოზარდის ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ“ („პეკინის წესები“) აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანზე უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელია.[35] არა მარტო თავისუფლების აღკვეთა არამედ ოჯახისაგან მეგობრებისაგან და ჩვეული სოციალური გარემოსაგან განცალკევება არასრულწლოვანთათვის გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე სრულწლოვანთათვის, ვინაიდან ისინი განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან. „პეკინის წესები“ მოუწოდებს სახელმწიფოებს ვადამდე ადრე გათავისუფლების უფრო ხშირად და ეფექტურად გამოყენებისაკენ.

„ციხის ევროპული წესები“ აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა ფორმა უნდა ექვემდებარებოდეს სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სისტემას.[36] ამასთანავე, აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლითაც მოხდება პირობით ვადამდე გათავისუფლების წინაპირობების განსაზღვრა, როგორებიცაა: დროის მონაკვეთი, რომელიც არასრულწლოვანმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს, პროგნოზირებადი შეფასებები და გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობის პერიოდი და პირობები.

ევროპის ქვეყნებში არსებული საპატიმრო სასჯელების კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფლების აღკვეთა არ ამცირებს რეციდივიზმს და პირიქით ხელს უწყობს უფრო მეტ დამნაშავეობას. ამის საწინააღმდეგოდ, პირობით სასჯელებსა და ვადამდე გათავისუფლებას გაცილებით უკეთესი დამნაშავეობის შემცირების ტენდენცია აღმოაჩნდა.[37]

---

[35] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ“, წესი 23

[36] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2, „ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით“, მუხლი 30

[37] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ. 39

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა შორს არის სრულყოფისაგან არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ევროპასა და აშშ-ში არსებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ. მსგავსი ტიპის ბავშვების თითქმის 75%-80% ხელმეორედ ჩადის დანაშაულს. [38]

§ 2. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული უარყოფითი შედეგები

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, სასჯელის დანიშვნისას, უნდა მოხდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, რაც ბავშვთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს სანქციისა და სასჯელის კონკრეტულ ვადებს გულისხმობს. აღნიშნულმა ვადებმა უნდა უზრუნველყოს სასჯელის მიზნების მიღწევა, კერძოდ, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და რესოციალიზაციის მიზანი.[39] შესაბამისად, მოსამართლის მიერ დანიშნული უნდა იყოს სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაციას უზრუნველყოფს. სასჯელი ორიენტირებული უნდა იყოს მოზარდის აღზრდის მიღწევაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, არასრულწლოვნისთვის მისჯილი მოკლევადიანი (ექვსი თვიდან ერთ წლამდე), თუ გრძელვადიანი (ერთი წლიდან სამ წლამდე) სასჯელია მისთვის რესოციალიზაციის მომტანი.[40] კრიმინოლოგიაში დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ოთხი, ხუთი და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ხელს უწყობს არა მოზარდის რესოციალიზაციას, არამედ ფლუსტრაციასა და სოციალიზაციის დაკარგვას.

ნებისმიერი კეთილმოწყობილი გარემო და რეგულირების ეფექტური მექანიზმების არსებობა, ვერ გამორიცხავს გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეულ უარყოფით ზეგავლენას არასრულწლოვნის ნორმალურ განვითარებაზე.

ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან და მეგობართა წრისგან იზოლირებულად ბავშვის განთავსება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, უარყოფით დაღს ასვამს

---

[38] ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), საიუბილეო სტატიათა კრებული „ მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014, გვ.87

[39] ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.56

[40] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ.47

მოზარდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას, რადგან არასრულწლოვანი მოწყვეტილია ყოველდღიური ცხოვრების რიტმს, მისთვის ჩვეულ გარემოს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების აღკვეთა თითოეულ არასრულწლოვანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია ბავშვის ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, სიძნელეების გამკლავების უნარზე და სხვა.[41] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები განიცდიან დამოუკიდებლობისა და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტს.

მას შემდეგ, რაც არასრულწლოვნები გადააბიჯებენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, ისინი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სპეციალურ წესებს, რაც მოზარდებში დეპრესიასა და უიმედობის განცდას იწვევს.[42] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები მოწყვეტილნი არიან ოჯახს, მეგობრებსა და მათთვის ნაცნობ სოციალურ გარემოს. მათ ახასიათებთ მიზანმიმართული საქმიანობის დეფიციტი.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში სათანადოდ არ არის ორგანიზებული სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამები, მათ შორის, განათლების მიღების, თავისუფალი დროის ოპტიმალურად გატარებისა და პროდუქტიული მუშაობის შესაძლებლობები, არასრულწლოვნებს შეიძლება განუვითარდეთ ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები.

გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში მოზარდები განიცდიან სოციალურ გაუცხოებას, იზრდება ბავშვების ციხის სუბკულტურაში გაერთიანების ალბათობა, ხშირია სოციალური კონტაქტების დაკარგვა. ასევე, სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდგომ, არასრულწლოვნის დამნაშავედ ეტიკეტირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას.[43]

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას აუცილებელია დადგინდეს შესაძლებელია თუ არა სასჯელის მიზნების მიღწევა არასრულწლოვნის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში. თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლება მოხდება ძალიან ადრეულ ეტაპზე, არსებობს საფრთხე, რომ არასრულწლოვნის სარეაბილიტაციო დაწესებულების სასარგებლო ეფექტი ან არ მიიღწევა, ან მოხდება მსგავსი ეფექტის მალევე დაკარგვა. გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში არებობს მისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების წარმოქმნის საშიშროება. აუცილებელია ერთგვარი „ოქროს ხიდის“ პოვნაა, როდესაც ხდება მოზარდის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება. ერთის მხრივ, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების სასარგებლო ეფექტი უნდა იქნას მიღწეული, ხოლო მეორეს მხრივ არ უნდა მოხდეს, გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული უარყოფითი შედეგების წარმოქმნა.

---

[41] Liebling A., Maruna SH., The Effects of Imprisonment,2005, P. 42

[42] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 87

[43] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ.145

§ 3. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის უფლებას.[44] ევროსაბჭოს 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაციის „პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ" თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებს არსებული სასჯელის მოხდის ვადებს და უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალიზებულ ზომებს, როგორიცაა პირობით ვადამდე გათავისუფლება.

„ევროპულ ციხის წესებში" მოცემულია სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის აღსრულებისა და მისი ეფექტურობის მარეგულირებელი სტანდარტები.[45] ევროპული წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გატარდეს ყველა სათანადო ზომა მსჯავრდებულთა თანდათანობით საზოგადოებაში დასაბრუნებლად, რაც მიიღწევა არასრულწლოვანთა გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამებისა და სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტური სისტემის არსებობით.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს ისეთი სისტემის დანერგვისაკენ, რომელიც ამცირებს მსჯავრდებულთა რაოდენობას და წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას, არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. წამების პრევენციის კომიტეტი აღნიშნავს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ და უნდა მონაწილეობდნენ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოსამზადებელ პროგრამებსა და ღონისძიებებში. ასევე, ბავშვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი უნდა ექვემდებარებოდეს განხილვას, მას შემდეგ, რაც მოზარდი დაკისრებული სასჯელის მინიმალურ ვადას მოიხდის.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლი ადგენს კონკრეტული ვადებს, თუ როდის არის შესაძლებელი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლება. აღნიშნული ვადები განსხვავდება სრულწლოვანთათვის განსაზღვრული ვადებისაგან.[46]

ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში არასრულწლოვანს ფაქტობრივად მოხდილი უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი. მძიმე დანაშაულის შემთხვევაში მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი,

---

[44] მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან დაკავშირებული თავისებურებანი, თბილისი, 2009, გვ. 49

[45] ფაფიაშვილი ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი,საერთაშორისო სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2008, გვ. 73

[46] ნაჭყებია გ., თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.44

ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი. ამასთანავე, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა 3 თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა, რადგან შეიქმნა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოები და მათ დაევალათ მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.[47]

ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი საბჭოები.[48] გერმანიაში, ხორვატიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, სლოვენიასა და ესპანეთში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სპეციალიზირებული მოსამართლე.[49] ნიდერლანდებში მოქმედი სისტემა კი ევროპის სხვა ქვეყნებისაგან არსებითად განსხვავდება, რადგან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი პროკურორი.[50]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს კომპეტენციაში შედის იმ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა, რომლებსაც დანიშნული აქვთ არასაპატიმრო სასჯელები. არასრულწლოვანთა საქმეებს კი, რომელთაც სასჯელის სახით დანიშნული აქვთ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, განიხილავს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები. თუ უფლებამოსილი ორგანო მიიჩნევს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის გამოსწორებისათვის

---

[47] ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან, სამართლის ჟურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი № 2“, 2014., გვ.291

[48] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები,რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012. გვ. 35

[49] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 133

[50] Padfield N., Van Zyl Smit D., Dünkel F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010, P. 77

დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა აღარ არის საჭირო, მიიღება გადაწყვეტილება არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ხდება პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოების რაოდენობისა და მათი კომპეტენციის განსაზღვრა. ბრძანების თანახმად, საქართველოში სულ ფუნქციონირებს ექვსი სახის ადგილობრივი საბჭო, მათ შორის ერთ-ერთს კი, სწორედ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს.

არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან. ამასთანავე, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი საბჭოს არანაკლებ ერთ წევრს აუცილებელია ჰქონდეს არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.[51]

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გადაწყვეტილება მიიღება გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ : ჩადენილი დანაშაულის ხასიათის; არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ქცევის, სასჯელის მოხდის პერიოდში; მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებისა და ნასამართლეობის; ოჯახური პირობებისა და არასრულწლოვნის პიროვნების გათვალისწინებით.[52]

ჩადენილი დანაშაულის ხასიათში მოიაზრება ის გარემოებები და ვითარება, რომელშიც მოხდა აღნიშნული დანაშაულის/დანაშაულების ჩადენა, არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმე, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში და ა.შ.

არასრულწლოვნის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში გულისხმობს სასჯელის მოხდისას მოზარდის მიმართ გამოყენებული დისციპლინური და წამახალისებელი ღონისძიებების სახეებსა და რაოდენობას. აუცილებელია ადგილობრივი საბჭოების მიერ მოხდეს მსგავსი ღონისძიებების გამოყენების მიზეზების შესწავლა.

მოზარდის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს რამდენჯერ, რა სიმძიმისა და რა სახის დანაშაულების ჩადენის ფაქტს ჰქონდა არასრულწლოვნის მხრიდან ადგილი.

---

[51] ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი №2, 2014.გვ. 292

[52] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 83

ოჯახურ პირობებში იგულისხმება არასრულწლოვნის დამოკიდებულება ოჯახის წევრების მიმართ, მათი ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების არსებობა/არარსებობა, ოჯახური ძალადობის არსებობის ფაქტები და სხვა.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდის პიროვნულ თვისებებს, ბავშვის დამოკიდებულებას ჩადენილი დანაშაულის მიმართ, სარეაბილიტაციო დაწესებულების მოსამსახურეების მიმართ და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ. ასევე, აუცილებელია შესწავლილ იქნეს სასჯელის მოხდის პერიოდში მოზარდის სოციალური აქტივობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მამედოვი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ“[53] მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით. სასამართლომ განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება, რადგან მამედოვის მიერ, სასჯელის აღსრულების პერიოდში, ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის უკანონო ქმედებას. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას, მისი მისამართით, არ ჰქონდა დისციპლინური სანქცია გამოყენებული. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები და განაცხადა, რომ მამედოვის რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის დარჩენილი ვადის მოხდისა და საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს სხდომა წარიმართოს არასრულწლოვნისათვის გასაგები ფორმით.[54] ზეპირი მოსმენის სხდომაზე არასრულწლოვანს აქვს მონაწილეობის უფლება, ამასთანავე მოზარდს უნდა ეპყრობოდნენ განსაკუთრებული ყურადღებით.[55] არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას, საბჭოს სხდომაზე, დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

არასრულწლოვანთა სასჯელი მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკითხის განხილვა უნდა ხორციელდებოდეს გონივრული ინტერვალებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“,[56] განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმეორებით განხილვის ვადებზე და მიუთითა, რომ იმის

---

[53] Mammadov v. Azerbaijan, Application no. 15172/13, 29 May, 2019

[54] ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი №2, 2014.გვ. 297

[55] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012, გვ. 69

[56] Hirst v. United Kingdom, Application no. 74025/01, 6 October, 2005

განსასაზღვრად წარმოადგენდა თუ არა მსჯავრდებული კვლავაც საშიშროებას, საქმე უნდა განხილულიყო გონივრული ინტერვალებით და ორი წელი განხილვებს შორის ზედმეტად დიდი შუალედი იყო.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის პერიოდი განისაზღვრება სამ თვემდე ვადით. პორტუგალიაში, რუმინეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში კი აღნიშნული პერიოდის ვადა წარმოადგენს ექვს თვეს.[57] საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვას, ყოველ სამ თვეში ერთხელ მიიჩნევს სავალდებულოდ.

საქართველოში პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭო შუამდგომლობის განხილვისას იღებს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ–ერთს : ახდენს მოზარდის პირობით ვადამდე გათავისუფლებას; იღებს გადაწყვეტილებას საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, თუ ადგილობრივი საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მოზარდისგან დამატებითი ინფორმაციის მიღებას, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტის მიზნით; უარს აცხადებს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.

შვეიცარიის კონფედერაციაში, ბელგიასა და დანიაში არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლება წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას და პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მოზარდთან დაკავშირებული ნეგატიური პროგნოზებია მოსალოდელი.[58] რაც შეეხება საფრანგეთს, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის უბრალოდ უნდა აჩვენოს, რომ იგი უკეთესობისკენ შეიცვალა.[59]

პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს არასრულწლოვანის რესოციალიზაციის კუთხით მიღწეული პროგრესისა და მისი გათავისუფლებისთვის მზადყოფნის შეფასებას. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ აუცილებელია გადაწყვეტილებაში მიუთითოს პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ მისაღები ზომები. არასრულწლოვან მსჯავრდებულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აუცილებელია იყოს დასაბუთებული, სადაც განმარტებული იქნება შუამდომლობაზე უარის თქმის ან მისი დაკმაყოფილების საფუძვლები.

---

[57] კოილი ე., პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 79

[58] Padfield N., Van Zyl Smit D., Dünkel F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.P 43

[59] D. Van Zyl Smit/ Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011, P. 89

§ 4. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

კრიმინალური სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა და დინამიკა.[60] მაშასადამე, კრიმინალური სტატისტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის : სასამართლოს, პრობაციის, პოლიციის, სასჯელაღსრულებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობის ანგარიშს. სტატისტიკური მაჩვენებლები იძლევა სახელმწიფოში კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა დანაშაულობის 2012-2018 წლების სტატისტიკა.

საქართველოში მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ევროსაბჭოს ქვეყნების საშუალო მონაცემებს. საშუალო ევროპული მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 134 პატიმარს უტოლდება. საქართველოში კი 2018 წელს 100 000 მოსახლეზე პატიმართა რიცხოვნება - 252 შეადგენს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

2012-2018 წლების სტატისტიკის თანახმად, სხვა წლებთან შედარებით, 2014 წელს მსჯავრდებულთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება - 16 776 მსჯავრდებული. არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობის მაქსიმუმი კი 2012 წელს დაფიქსირდა - 475 (4.3%) არასრულწლოვანი. 2012-2018 წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 1%-5% შორის მერყეობს.

სტატისტიკური მონაცემების თანახად, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2012 წელს - 475 პატიმარი, ხოლო ყველაზე დაბალი 2016 წელს -146. 2017-2018 წლებში, კი ხდება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის მატება. სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები.

მძიმეა იმ მსჯავრდებულთა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობენ ან/და არ სწავლობენ. ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2016 წელს, როდესაც მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა 80.8% არ მუშაობდა და არ სწავლობდა. ამ მხრივ ყველაზე კარგი მაჩვენებელი ფიქსირდება 2012 წელს - 57.9%.[61] სტატისტიკური მონაცემების შესწავლის შედეგად ნათლად იკვეთება ის გარემოება, რომ მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. მაშასადამე, არასრულწლოვნები დანაშაულს ჩადიან ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის, ცხოვრების დაბალი დონის, უმუშევრობის გამო და არა პირადი სიამოვნებისა და გართობისათვის.

---

[60] Naylor B., Schmidt J., Do Prisoners Have a Right to Fairness Before the Parole Board, Sydney Law Review, Vol. 32, 2010, P.19

[61] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

სახელმწიფო 2012-2014 წლების სტატისტიკის წარმოების დროს არ ახორციელებდა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელების ანგარიშებში დეტალურ ასახვასა და კონკრეტიზაციას. ჩვენთვის უცნობია, რომელი სასჯელები მოიაზრება „სხვა სასჯელების“ ცნების ქვეშ. სავარაუდოდ სხვა სასჯელებში მოიაზრება ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2016 წელს, როდესაც არასრუწლოვან მსჯავრდებულთა 31.5%-ს, სასჯელის სახედ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. 2017-2018 წლებში კი მნიშვნელოვნად იკლებს თავისუფლების აღკვეთის პროცენტული მაჩვენებლები და ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მკვეთრი შემცირება, საქართველოში მაინც ძალიან მაღალია აღნიშნული სასჯელის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყოველი მეოთხე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახედ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა (2018 წელს 23.6%). აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოში მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის არსებობაზე, არასაპატიმრო სასჯელების არასაკმარის გამოყენებაზე, ამასთანავე, არასრულწლოვან პრობაციონერთა არასათანადო კონტროლზე, რის შედეგადაც მოზარდი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში განმეორებით ჩადის დანაშაულს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ხშირია პირობითი მსჯავრის გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებელი. ყველაზე მაღალი ნიშნული ფიქსირდება 2014 წელს, როდესაც არასრულწლოვანთა 66.4%-ს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, ხოლო ყველაზე დაბალი ზღვარი 2017 წელს ფიქსირდება, როცა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 48.2%-ის მიმართ იქნა გამოყენებული პირობითი მსჯავრი.[62]

მოცემული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე ძალიან იშვიათად გამოიყენება. 2018 წელს აღნიშნული ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელია – 1.9%. სასჯელის აღნიშნული სახის გამოყენებისას მოზარდს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობიდან შემოსულ ქონებას, რომლის ჯარიმის სახით განკარგვის ან/და გადახდის უფლებაც აქვს არასრულწლოვანს. ჯარიმის დაკისრებამ არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის ეკონომიკური კრიზისი არ უნდა გამოიწვიოს, რაც მოზარდის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.

[62] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

სტატისტიკის თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ ასევე დაბალია სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი, თუმცა 2017–2018 წლებში აღნიშნული სასჯელის გამოყენების პროცენტულმა მაჩვენებლებმა საგრძნობლად იმატა. ყველაზე კარგი მდგომარეობა ამ მხრივ ფიქსირდება 2018 წელს, როდესაც არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 8.5%-ს სასჯელის სახედ შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. აღნიშნული სასჯელის გამოყენების სიმცირე აიხსნება სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური კრიზისით, სამუშაო ადგილების არარსებობით, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა არასაკმარისი სამუშაო უნარ-ჩვევებით, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათით და სხვა გარემოებებით.

შინაპატიმრობის/ელექტრონული მონიტორინგის სასჯელის სახედ გამოყენების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2017 წელს, როდესაც შინაპატიმრობა გამოყენებულ იქნა – 36 (18.3%) არასრულწლოვნის მიმართ. შინაპატიმრობის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ არასრულწლოვნის იზოლირება საზოგადოებისგან, ოჯახის წევრებისგან და თანატოლთა წრისგან აღარ ხორციელდება. ამასთანავე, შინაპატიმრობა ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში, მოზარდზე მუდმივ რეჟიმში ხორციელდება მონიტორინგი.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს 2012 წელს - 1644 მსჯავრებული, აქედან - 18 არასრულწლოვანია. ყველაზე დაბალი ნიშნული კი 2018 წელს ფიქსირდება - 821 მსჯავრდებული, საიდანაც 17 არასრულწლოვანია.[63]

რაც შეეხება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკურ მონაცემებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2015 წელს, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა 2.61%-ის მიმართ გამოყენებულ იქნა პირობით ვადამდე გათავისუფლება. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი კი 2012 წელს ფიქსირდება, როდესაც არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 1.09%-ის მიმართ იქნა გამოყენებული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა მოზარდს აძლევს საზოგადოებაში, მის სრულფასოვან წევრად დაბრუნების შესაძლებლობას.[64] აუცილებელია, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფრო ხშირად გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება.

---

[63] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

[64] ხასია მ., პენიტენციუ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 63

თავი IV

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სასჯელის მოხდის პერიოდში

§1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა

არასრულწლოვანთა №11 სარეაბილიტაციო დაწესებულება, რომელშიც თავსდებიან 18 წლამდე მოზარდი მსჯავრდებულები, არის არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული, სათანადო ინფრასტრუქტურითა და კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი. საქართველოში არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები მეთერთმეტე დაწესებულების გარდა ასევე თავსდებიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №2 და №8 დაწესებულებებში.[65]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში კომფორტული პირობების შექმნის მცდელობა ვერასოდეს აანაზღაურებს საზოგადოებაში მისი ნორმალური ცხოვრების დანაკარგს.[66] სარეაბილიტაციო დაწესებულებას შეუძლია არასრულწლოვანს შეუმსუბუქოს, მოკლევადიანი/გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. აუცილებელია ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც არასრულწლოვნის გამოსწორებაზე და არა დასჯაზე იქნება ორიენტირებული.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნორმალური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არასრულწლოვნების გარე სამყაროსთან კავშირის შენარჩუნება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაში მოზარდის დაბრუნების საფუძველს.[67] გარე სამყაროსთან კონტაქტი წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. გარე სამყაროსთან მოზარდების კონტაქტი უნდა განიხილებოდეს როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია.

საერთაშორისო სტანდარტების, ისევე როგორც ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს აქვთ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული

---

[65] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 53

[66] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 49

[67] კოილი ე., პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ. 43

კონტაქტის უფლება.[68] ზემოთ აღნიშნული უფლების რეალიზებას უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მიერ სატელეფონო საუბრებით სარგებლობის უფლება, ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეო პაემნების შესაძლებლობა, უფლება შეუზღუდავად მიიღონ წერილები, ამანათები და გზავნილები.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის კონტაქტი გარე სამყაროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა საშუალებით, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს წარმოადგენს და ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის გარანტირებულია საბაზო და დაწყებითი განათლების უფლება. მაშასადამე, აღნიშნული უფლებით სარგებლობა ასევე შეუძლიათ არასრულწლოვან ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს.[69] როდესაც მოზარდს შემეცნებასა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს, აუცილებელია მისი სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიმდინარეობდეს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, მოზარდთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში, წარმოადგენს არასრულწლოვანთა განათლება.[70] არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის სათანადო განათლების მიღება არის საზოგადოებაში მოზარდის დაბრუნებისა და განმეორებითი დანაშაულის თავის აცილების ერთგვარი გარანტი.

ყველა არასრულწლოვანი ბრალდებული და მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისი განათლების მიღებით, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ დაბრუნებასა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდებას. ასეთი განათლება უნდა უზრუნველყონ კვალიფიციურმა მასწავლებლებმა იმგვარად, რომ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვნებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.

არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის უნდა შეიქმნას პირობები პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად.[71] სწავლება ნებაყოფლობით ხასიათს უნდა ატარებდეს. კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა პროფესიული სწავლების დანერგვისა და განხორციელების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს, იმ

---

[68] არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2004, გვ.34

[69] სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის. ნაწილი I, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი 2011, გვ.45

[70] Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013, P.24

[71] General Comment №.14, On the Rights of the Child to Have his or her best Interests Taken as a Primary Consideration, Committee on the Rights of the Child, 2013, P.43

პროფესიებს, რომელთა შესწავლაც დაწესებულების პირობებშია შესაძლებელი და რომლებზეც არსებობს მოთხოვნა დასაქმების ბაზარზე. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს,როგორც პროფესიული კვალიფიკაციის მიღებას, ისე სასჯელის მოხდის შემდგომ, სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებას.

არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში აქვთ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება. ამასთან, არასრულწლოვანი მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს ისეთი სახის სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას. მოზარდის სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვანი პატიმრები მუშაობენ სწავლისაგან და დასვენებისაგან თავისუფალ დროს. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ბავშვის მიმართ არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, რადგან მსგავსი ქმედებები არასრულწლოვნის გამოსწორების მაგივრად, გამოიწვევს საზოგადოების მიმართ მის სიძულვილსა და გაბოროტებას.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შემუშავებულ უნდა იქნას ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროგრამები, ამასთანავე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არასრულწოვანთა სპეციფიური მოთხოვნილებები.[72]

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული საპატიმრო სახის სასჯელის აღსრულებისას დიდ როლს თამაშობს დაწესებულების ადმინისტრაცია.[73] მოზარდებთან მომუშავე პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და უნდა მოიცავდეს ისეთ სპეციალისტებს, როგორებიცაა: მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, ფსიქიატრები, იურისტები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. ტრენინგების ფარგლებში პერსონალის მიერ უნდა ხდებოდეს ბავშვის ფსიქოლოგიის, ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესწავლა.

[72] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.44

[73] ხასია მ., არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 №1“, გვ.72

§ 2. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და აღსრულება, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის საშუალება

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და აღსრულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.[74] სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა იძლევა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრად დაბრუნების შესაძლებლობას. არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მუშაობის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს წინასწარ და აუცილებელია გაგრძელდეს სასჯელის მოხდის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სასჯელის ეფექტურობის მიღწევა შეუძლებელია, თუ ინდივიდუალურ მიდგომას მხოლოდ ბრალდებულისათვის სასჯელის შეფარდების ეტაპზე გამოვიყენებთ. აუცილებელი აღნიშნულ მიდგომას მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის აღსრულების პროცესშიც მივმართოთ.[75]

არასრულწლოვნის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინება, როგორიცაა : მოზარდის ასაკი, სქესი, განათლება, აღზრდისა და განვითარების პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინტელექტუალური შესაძლებლობები, განვითარების დონე, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური ვითარება და სხვა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობა, რომელთა მიზანიც იქნება პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მათ დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში. არასრულწლოვნებისათვის გარანტირებული უნდა იყოს განათლების, შრომის, რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის უფლებები.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსჯავრდებული არასრულწლოვნის პიროვნების შესახებ ყველა ის გარემოება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვის რესოციალიზაციას.[76] ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება მოზარდის განსაკუთრებული საჭიროებები, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის

---

[74] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.43

[75] დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ.172

[76] ხასია მ., არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1“, 2017, გვ.132

რისკი, საზოგადოებაში მისი ინტეგრაციის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას დიდი როლი ეკისრება სასჯელის მიზნების მიღწევისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ეხება, რადგან დამნაშავისადმი ინდივიდუალური მიდგომა უფრო ეფექტურს გახდის სასჯელს.[77] მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.[78]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლი არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას და გათვალისწინებას აუცილებლად მიიჩნევს.

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანებით ხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესებისა და სტანდარტების მოწესრიგება.

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა დგება მულტიდისციპლინარული საბჭოს მიერ, რომელიც მოქმედებს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.[79] აღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში შედიან, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ექიმები და მასწავლებლები. მულტიდისციპლინური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო–სოციალური პორტრეტის შექმნა, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და მის განხორციელებაზე მონიტორინგი.

ინდივიდუალური გეგმა დგება არასრულწლოვნის რისკებისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, პირველი შეხვედრიდან არაუგვიანეს 1 თვისა. მოთხოვნის შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს უფლება აქვს გაეცნოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის საქმეს. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ვადა შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს.

აღნიშნულ გეგმაში მითითებული აქტივობები უნდა გამომდინარეობდეს შეფასების ფორმაში გაკეთებული რეკომენდაციებიდან. სამოქმედო გეგმა ასევე უნდა შეიცავდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო აქტივობებს. მსგავსი აქტივობების შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ღონისძიებებს,

---

[77]დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელები და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი,2013, გვ.73

[78]ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015, გვ.100

[79] სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის. ნაწილი I , სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი 2011, გვ.68

რომლებიც მიმართულია არასრულწლოვნის დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის რისკის შემცირებისკენ და ჯანსაღი გარემოს შექმნისაკენ.[80] მსჯავრდებულს, რომელიც არ ეთანხმება ინდივიდუალურ გეგმას, შესაძლებელია შესთავაზონ ახალი ინდივიდუალური გეგმა, უარის თქმიდან არაუგვიანეს სამი თვისა. ინდივიდუალური გეგმის დასრულებამდე ერთი თვით ადრე, ხდება ინდივიდუალური გეგმის შეფასება, რისკებისა და საჭიროებების გადაფასება და ახალი ინდივიდუალური გეგმის შედგენა. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური გეგმის განხორციელება წყდება, იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.

ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში აუცილებელია კონკრეტული აქტივობების მითითება, ასევე მათ განსახორციელებლად საჭირო დროის მონაკვეთის განსაზღვრა და სარეაბილიტაციო დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლების დასახელება.[81] აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს რისკის განსაზღვრის ერთ-ერთ საფუძველს, რაც გათვალისწინებული იქნება არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს.[82]

ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში ხდება იმ აქტივობების გათვალისწინება, რომლებიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და მასწავლებლის როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობებს უკავშირდება. აქტივობები მოიცავს არასრულწლოვნის მონაწილეობას ბიო-ფსიქო-სოციალური თერაპიის კურსებში, საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში. აღნიშნული გეგმის განხორციელება ვრცელდება არასრულწლოვან მსჯავრდებულზე მანამ, სანამ მოზარდი სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იმყოფება.

„წევრი სახელმწიფოებისადმი პრობაციის წესების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 20 იანვრის რეკომენდაციის თანახმად, სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა მოამზადონ თითოეული სასჯელისა და ღონისძიების აღსრულების სამუშაო გეგმა. ცალკეული მსჯავრდებულების პროგრესი უნდა შეფასდეს რეგულარული ინტერვალებით და ეს პროცესი უნდა აისახოს სამუშაო გეგმაზე ზედამხედველობის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

გაეროს „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ („ნელსონ მანდელას წესები“) თანახმად, არასრულწლოვნის სასჯელის ვადის მოხდის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს იმ მომენტიდან, როდესაც იგი განაჩენის გამოტანის შემდეგ

[80] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ.54

[81] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, გვ. 88

[82] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.52

პირველად ხვდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[83] თითოეული ბავშვის მიღების შემდეგ, მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე დაყრდნობით, უმოკლეს ვადებში, უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სამოქმედო პროგრამა, მოზარდის მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან გამომდინარე.[84]

§ 3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადება

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტური აღსრულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და პრობაციის ეროვნულ სამსახურებს შორის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების ეფექტურ თანამშრომლობას, მოზარდის რისკების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ დაგეგმვასა და აღსრულებას უკავშირდება.[85]

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სურვილია დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას საზოგადოებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ მოზარდი მზად იქნება კანონმორჩილი ცხოვრებისათვის.[86] აუცილებელია მოხდეს არასრულწლოვნებისათვის დახმარების გაწევა, მათი ოჯახში დაბრუნების მიზნით; სოციალური ურთიერთობის სხვა ფორმების დამყარებაში დახმარების გაწევა; საცხოვრებლის მოძიება; სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა; დასაქმება და ა.შ.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს თითოეული თავისუფლებააღკვეთილი მოზარდის მოთხოვნილებები და გამოიყენოს გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი და სხვა დამხმარე საშუალებები. სასჯელის ვადის დასრულებამდე აუცილებელია მიღებულ იქნეს სათანადო ზომები კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ეტაპობრივად საზოგადოებაში დაბრუნებისათვის.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციის, არასაპატიმრო

---

[83] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები“, წესი 43

[84] კოილი ე., პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007, გვ.83

[85] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014,გვ.79

[86] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.27

სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თანამშრომლობის ფარგლებში.[87]

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება მოზარდის მიერ საპატიმრო სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ გათავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, ატყობინებს არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და დანაშაულის პრევენციის ცენტრს მისი გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს.[88] ამასთანავე, დაწესებულება კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს უზრუნველყოფს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამებით.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომ, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართვის შემდეგ ამტკიცებს მოზარდის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის გეგმას, ახორციელებს პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაწყებული პროგრამების დასრულებას და სრულყოფას. სარეაბილიტაციო დაწესებულება არასრულწლოვანს, მისთვის გასაგები ფორმით, აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გზებით შეუძლია მას გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი დახმარების და მხარდაჭერის მიღება.

არასრულწლოვანთა დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მოზარდის მიერ სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე სამი თვით ადრე წერილობით მიმართოს პრობაციის სააგენტოს, სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე.[89]

პრობაციის სააგენტოს დავალებით, სოციალურ მუშაკი მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, არასრულწლოვნის ოჯახში ახორციელებს მინიმუმ ერთ ვიზიტს. სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი აღნიშნული დოკუმენტი იგზავნება შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციაში.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი აფასებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სოციალური გარემოს რისკებს და განსაზღვრავს მის საჭიროებებს. მსჯავრდებულის ოჯახის შეფასების პროცესში პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკი ძირითად აქცენტს აკეთებს : არასრულწლოვნის ოჯახის დამოკიდებულებაზე მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ, ოჯახის წევრთა მზაობაზე ბავშვის დაბრულების მიმართ, გათავისუფლების შემდგომ არასრულწლოვნის თავშესაფრის

---

[87] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014.გვ.84

[88] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012. გვ.49

[89] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.38

არსებობაზე, ოჯახის წევრების სავარაუდო შემოსავლის წყაროზე, სარეაბილიტაციო მომსახურებების რესურსებზე და მათ ხელმისაწვდომობაზე.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების დასრულებისთანავე, შესაბამის დოკუმენტებს უგზავნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინება არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველ ადგილობრივ საბჭოს, რათა აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდობით, მოხდეს არასრულწლოვნის ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

თავი V

არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის განხორციელების რისკ-ფაქტორები

§ 1. არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

დანაშაულის გამომწვევი მიზეზები საზოგადოებაში მრავლადაა. გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს შეიძლება იყოს : ძალადობრივი გარემო, სადაც არასრულწლოვანი იზრდება და ყალიბდება, სოციალური ღირებულებები, სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დაბალი დონე, დელიქვენტი თანატოლთა წრე, საგანმანათლებლო დაწესებულება, თავისუფალი დროის გატარება, არასრულწლოვნის სტიგმატიზირება და სხვა. [90]

საქართველოში უამრავ არასრულწლოვანს სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის გამო არ გააჩნიათ განათლების, ჯანმრთელობის, ზრუნვისა და დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.[91]კანონთან კონფლიქტში ყოფნის გამო მოზარდები ხშირად ხვდებიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რაც იწვევს მათ მოწყვეტას ოჯახისა და მათთვის ჩვეული გარემოსგან.[92]

---

[90] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი №2“, 2012, გვ.288

[91] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ.83

[92] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.68

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის გამომწვევ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს : ა) ინდივიდუალური ანუ პერსონალური რისკ-ფაქტორები, მათ შორის : ასაკი, სქესი,ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება, იმპულსურობა, ჰიპერაქტიურობა, დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ასევე, გენეტიკური და ბიოლოგიური ფაქტორები; ბ) სოციალურ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება : ოჯახი და თანატოლთა წრე; გ) საზოგადოებრივ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს : ეკოლოგიური გარემო, სოციალური კლასი და საგანმანათლებლო გარემო.

არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ოჯახს, ვინაიდან მისი გავლენა ხანგრძლივია და ხორციელდება ადრეული ბავშვობიდან. ამდენად, ურთიერთობების ნორმები, ოჯახურ გარემოში მიღებული ფასეულობების სისტემა და სხვა გარემოებები მოზარდებში ძალიან მყარად აითვისება.

ოჯახურ ფაქტორთა შორის მოზარდის პიროვნებაზე ყველაზე დიდ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მშობლებსა და შვილებს შორის დაძაბული ურთიერთობა, მშობლების ზედამხედველობის არარსებობა, აღზრდისა და დისციპლინის უქონლობა, დელიქვენტი მშობლების, აღზრდის ძალისმიერი მეთოდები და სხვა გარემოებები. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისათვის მნიშვნელოვანია მათ იქონიონ ხშირი კონტაქტი ოჯახთან და თანატოლებთან, მაგრამ აღნიშნული გარემოებები მოზარდებზე ნეგატიურ გავლენას არ უნდა ახდენდეს.

ბავშვები, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულ და მუდმივი სიღარიბის ქვეშ მყოფ ოჯახებში იზრდებიან, კრიმინალურ ქცევაში მეტად არიან ჩართულნი.[93] ეკონომიკურ სიდუხჭირესა და სტრესული ცხოვრების მოვლენებს მივყავართ მშობლისა და შვილის ემოციური გაუცხოების, აღზრდის პროცესში მშობლების ჩართულობის სიმცირისა და არასრულწლოვანზე მშობელთა კონტროლის ნაკლებობამდე.[94]

არასრულწლოვნის სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მეგობრების წრე. არასრულწლოვანი, რომელიც კრიმინალურ თანატოლებთან არის დაკავშირებული, სწავლობს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, რაც მისაღები იქნება დამნაშავე თანატოლების მიერ. დელიქვენტ თანატოლებთან კონტაქტი ძალიან დიდი ალბათობით გამოიწვევს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას.

მოზარდის დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, თავისუფალი დროის ოპტიმალურად გატარებას, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივი ქმედებები სწორედ თავისუფალ დროს ხორციელდება.[95] მოზარდების მიერ ძალადობის შემცველი ფილმების ყურება, აგრესიული ხასიათის

---

[93] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი №2“, 2012, გვ.291

[94] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ.53

[95] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ 29

კომპიუტერული თამაშებით გართობა, ღამის ცხოვრება, უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკაზე, რამაც განმეორებითი დანაშაულის ჩადენა შეიძლება გამოიწვიოს.

არასრულწლოვნის კრიმინალურ ქცევაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური გარემო, რომელშიც მოზარდებისათვის, მათ შესაძლებლობებსა და რესურსებზე, ხელმისაწვდომობა იგულისხმება. არასრულწლოვნები, რომლებიც იზრდებიან ისეთ გარემოში, სადაც არის უმუშევრობის მაღალი დონე, სუფევს მასობრივი სიღარიბე, დეორგანიზებულია სოციალური ურთიერთობები, დანაშაული წარმოადგენს ჩვეულ მოვლენას, მოზარდებს ადვილად მიუწვდებათ ხელი ნარკოტიკებზე, ალკოჰოლსა და იარაღზე, უფრო მაღალია მათ მიერ დანაშაულის ჩადენის რისკი.

სასწავლო დაწესებულება არასრულწლოვნის აღზრდის პროცესში უმნიშვნელოვანს ადგილს იკავებს. პროგრამული სწავლების გარდა, აუცილებელია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლებოდეს მისი პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები.[96] აკადემიური წარუმატებლობა, სასკოლო დავალებების შესრულების დაბალი ხარისხი, სკოლიდან გარიცხვა, სკოლის გაცდენის მაღალი კოეფიციენტი, კრიმინალური ქცევის მაჩვენებლად არის მიჩნეული.[97] არასრულწლოვნები, რომლებიც სკოლაში არასაკმარისი სწავლის გამო დაბალი ინტელექტის დონით გამოირჩევიან, ურთულდებათ საზოგადოებაში თავისუფალი ინტეგრაცია, რაც, თავის მხრივ, ზრდის იმის ალბათობას, რომ ასეთი მოზარდი დანაშაულს ჩაიდენს.

ახალგაზრდა დამნაშავეთა გამოსწორების წარუმატებლობა შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით: გამოსასწორებელი პროგრამებით, რომელიც არასრულწლოვანთა ცხოვრების მხოლოდ მცირე პერიოდს ფარავს, რის შემდგომაც მოზარდები თავიანთ არახელსაყრელ სამეზობლოს, კრიმინალურ თანატოლებსა და მათთვის „ჩვეულ კრიმინალურ ქმედებებს“ უბრუნდებიან; სახელმწიფოში რესოციალიზაციის ეფექტური მეთოდების არარსებობით; მოზარდთა მიმართ განხორციელებული ინტერვენციის დაგვიანებულ ეტაპზე განხორციელებით, როცა დანაშაული უკვე მათი ცხოვრების წესი ხდება.

მაღალი რისკის შემცველ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, დანაშაულის პრევენციის მიზნით, ეფექტური ჩარევის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება უნდა იყოს, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში ყველაზე მეტადაა საჭირო ინტერვენცია, რამდენადაც პრევენციის მესამე დონესთან გვაქვს საქმე.[98]თუმცა, ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა შემთხვევაში მართლმსაჯულების სისტემების მიერ გატარებული ინტერვენციები არცთუ ისე წარმატებულია. სახელმწიფო აღნიშნულ შემთხვევებში ცდილობს ახალგაზრდა დამნაშავეთა გამოსწორებას თავისუფლების

[96] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 47

[97] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.65

[98] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 35

აღკვეთის დაწესებულებაში, მაგრამ დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი კვლავაც მაღალი რჩება. პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში ეფექტური პროგრამების იშვიათობა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და რისკ-ფაქტორების კარგად გაანალიზების შედეგად უნდა მოხდეს პრევენციის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა.

§ 2. სასჯელის მოხდის შემდგომ არასრულწლოვნის რესოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდგომაც. რესოციალიზაციის პროცესი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად : რესოციალიზაცია არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში და მოზარდის რესოციალიზაცია სასჯელის მოხდის შემდგომ. [99]

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შეუძლებელი იქნება, თუ აღნიშნული მოზარდის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს დასრულდება.[100] მაშასადამე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მეორე ეტაპი სასჯელისგან გათავისუფლების პირველსავე დღეს იწყება.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის აღზრდა, ანუ რესოციალიზაცია არის ე.წ. პირველადი ანუ განმეორებითი სოციალიზაცია, ვინაიდან ხშირად მოზარდები სწორედ სოციალიზაციის ნაკლებობას განიცდიან.[101] რესოციალიზაცია არის სწავლის პროცესი, რა დროსაც არასრულწლოვანი მსჯავრდებული სწავლობს დანაშაულის გარეშე ცხოვრებას, რომლის მიზანიცაა მოზარდს ჩამოუყალიბდეს სამართლებრივი თვითშეგნება, საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციის პროცესში სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ეფექტური პროგრამები, ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად, რათა დაცული იყოს საზოგადოებრივი წესრიგი.

---

[99] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ.132

[100] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.64

[101] არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2009,გვ, 46

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებასა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს.[102] თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა და უფლება, ღირსეულად დაუბრუნდეს საზოგადოებას.

პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანი დგება გარკვეული პრობლემების წინაშე, რომელთაგან მნიშვნელოვანია ეკონომიკური სიდუხჭირე, სტიგმატიზირება და უმუშევრობა. ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაუჭრელობის შემთხვევაში მაღალია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაბრუნების რისკი.

არასრულწლოვნის განმეორებითი დანაშაულის შემცირებისათვის აუცილებელია მოზარდის მიმართ ეფექტური რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება. დაკისრებული სასჯელის მოხდის შემდგომ არასრულწლოვნის წარმატებული რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევა შესაძლებელია მისი დასაქმებით, რაც ამცირებს დანაშაულის რეციდივს.[103]

სასჯელის მოხდის შემდგომ, არასრულწლოვნის დამნაშავედ სტიგმატიზაცია წარმოადგენს რესოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ გარემოებას. ნასამართლევად სტიგმატიზირებულ მოზარდს უჭირს საზოგადოებაში, როგორც მის სრულფასოვან წევრად დაბრუნება.[104] ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შეიცვალოს არასრულწლოვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს : აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ, სასჯელის აღსრულება დადგენილი წესის შესაბამისად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დასაქმება, მათთვის პროფესიული და უმაღლესი განათლების მიცემა, საზოგადოებასთან ურთიერთობაში მხარდაჭერა. რესოციალიზაციის საშუალებების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დელიქვენტი არასრულწლოვნის მიმართ დანიშნული სასჯელის სახე, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, პიროვნული მახასიათებლები, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ქცევის თავისებურებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

---

[102] ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011. გვ.315.

[103] Petersilia, J.,When Prisoners Come Home: Parole and Prisoner Reentry. Oxford: Oxford University Press, 2003, P.43

[104] შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.21

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმდინარეობისას აუცილებელია მოხდეს : მოზარდის კონსულტაცია და მისთვის რჩევის მიცემა პირადი პრობლემების მოგვარების შესახებ, მისთვის მატერიალური დახმარების გაწევა, პროფესიულ და საგანმანათლებლო სწავლებაში არასრულწლოვნის ხელშეწყობა, კრიზისული სიტუაციების მართვის სწავლება, დელიქვენტი მოზარდების მიმართ ტოლერანტობის გრძნობის დასამკვიდრებლად საზოგადოებაში საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სოციალური კონტაქტების დამყარებასა და აღდგენაში არასრულწლოვნებისათვის დახმარების გაწევა, საკუთარი საქციელისადმი პასუხისმგებლობის აღებაში დახმარება.

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის რესოციალიზაცია სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არარესოციალიზირებული არასრულწლოვანი არის ქვეყნისათვის ადამიანური რესურსის დაკარგვა.[105] ამასთან, არსებობს ბავშვის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე. ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების გამო სახელმწიფო იძულებულია ლიბერალური და ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გადავიდეს მკაცრ კრიმინალურ პოლიტიკაზე. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, რადგან რესოციალიზირებული არასრულწლოვანი საფრთხეს აღარ უქმნის საზოგადოებას და აღარ არღვევს ქცევის აღიარებულ ნორმებს.

დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია წარმოადგენს ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და მოზარდის სწორი განვითარების უზრუნველსაყოფად.[106]

კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმართულებით საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასჯელაღსრულებასა და პრობაციაში დაინერგა და დიდი წარმატებით ხორციელდება „რისკების და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის“ მეთოდოლოგია. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფს დელიქვენტი მოზარდის ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებას და სასჯელის გეგმის შედგენას, რომელიც ემსახურება არასრულწლოვნებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირებას, მოზარდების რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები, პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები. პროცესებში ჩართულები არიან სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები,

---

[105] შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, საიუბილეო სტატიათა კრებულში „მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014, გვ.103

[106] ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი მ., ხერხეულიძე ი., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2018, გვ.73

მათ შორის, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, იურისტები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეებისა და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობას განსაზღვრავენ.

თავი VI

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ

§ 1. არასრულწლოვანთა განმეორებითი დანაშაულის პრევენცია

სისხლის სამართლის თეორიაში განიხილავენ პრევენციის ზოგად და სპეციალურ სახეს. სასჯელის ზოგადი, გენერალური პრევენცია მიმართულია ყველა ადამიანის მიმართ, რათა მათ არ ჩაიდინონ დანაშაული, ხოლო სასჯელის სპეციალური, კერძო პრევენცია მიმართულია კონკრეტული დამნაშავის მიმართ, რათა მისი მხრიდან მომავალში გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა.[107]

პრევენციის აღნიშნული სახეები შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური.[108] პოზიტიური ზოგადი პრევენციის მაგალითს წარმოადგენს : კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, მათი აღზრდა კანონმორჩილ მოქალაქეებად.[109] ნეგატიური ზოგადი პრევენციის სახეა- დელიქვენტი არასრულწლოვნის სამაგალითოდ, მკაცრად დასჯა, რათა სხვა მოზარდებს აღარ გაუჩნდეთ დანაშაულის ჩადენის სურვილი. პოზიტიური სპეციალური პრევენციის მაგალითს წარმოადგენს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოსწორება, მისი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, ნეგატიური სპეციალური პრევენციის სახეა არასრულწლოვნის დაშინება და საზოგადოებისაგან იზოლირება.

ნორვეგიელი პროფესორი და მეცნიერი, ტორე ბიორგო, საუბრობს დანაშაულის პრევენციის ყოვლისმომცველ მოდელზე, რომელიც ეფუძნება ცხრა პრევენციულ მექანიზმს. საავტორო წიგნში ჩამოთვლილი პრევენციული მექანიზმებიდან ერთ-ერთ მსგავს მექანიზმად სახელდება სწორედ, დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავების

---

[107] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 356

[108] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.66

[109] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 № 1, გვ. 39

წახალისება, ასევე ყოფილი დამნაშავეების რესოციალიზაცია/ რეაბილიტაცია და მათი ნორმალურ, ცხოვრებისეულ გარემოში დაბრუნება.[110]

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების დაყოფა ხორციელდება სწორედ პრობლემების სხვადასხვა სტადიების მიხედვით.[111] არასრულწლოვანთა პირველადი ანუ ადრეული პრევენცია ვრცელდება ყველა არასრულწლოვანზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით და მიმართულია ფიზიკურ და სოციალურ გარემოში არსებული პირობების მოდიფიცირებისაკენ; მეორე დონის დანაშაულის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე -კრიმინოგენულ გარემოებებში მყოფი ინდივიდების ან ჯგუფების ადრეულ იდენტიფიკაციაზე და ადრეულ ინტერვენციაზე; რისკ ჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე. მესამე დონის პრევენციის მიზანია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება, მოზარდთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გამოსწორება.

აღნიშნული პრევენციული დონეების განსაზღვრის შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევების საფუძველზე, უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკის და მისგან დამცავი ფაქტორები, რის შემდეგაც მოხდება ეფექტური პრევენციული ჩარევის საშუალებების განსაზღვრა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რისკების შეფასება უნდა განხორციელდეს არა ცალკე აღებულ რომელიმე ფაქტორზე დაყრდნობით, არამედ აუცილებელია გათვალიწინებულ იქნას აღნიშნული ფაქტორების კუმულაციური ეფექტი. სწორედ დანაშაულის რისკებისა და მისგან დამცავი ფაქტორების ერთობლივი შეფასებით ხორციელდება პრევენციის ეფექტური საშუალებების შერჩევა.

მესამე დონის დანაშაულის პრევენციისას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ პრევენციის კუთხით განხორციელებულ ინტერვენციებს, რადგან აქ უკვე საქმე გვაქვს დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვნებთან, რომლებიც რეციდივის რისკის ქვეშ იმყოფებიან.[112] ასეთ შემთხვევებში კიდევ უფრო ზუსტად უნდა შეფასდეს ჩარევის პროპორციულობა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ქცევის პრევენციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კვლევასა და ანალიზს მათ შორის, დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთა ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული პროგრამების შედეგების შეფასებას.

---

[110] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.27

[111] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1“, გვ.36

[112] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ.83

სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე, იმისათვის რომ არასრულწლოვნებში დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებაში მისაღები მორალი და ღირებულებები.[113] არასრულწლოვანთა მიმართ პრევენციული პროგრამების დაგეგმვისას საჭიროა არსებული შეზღუდული რესურსის სწორად გამოყენება, შესაბამისად ისეთი პროგრამების შერჩევა და გატარება, რომელთა წარმატებაც დადასტურებული და გარანტირებულია შესაბამისი კვლევებითა და საერთაშორისო გამოცდილებით.[114]

§ 2. პრობაცია და საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა არასრულწლოვან მსჯავრდებულზე

2007 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.“ აღნიშნული კანონი ჩამოთვლის მის აღსრულებას დაქვემდებარებულ სამართლებრივ აქტებს და მათ შორის, ასახელებს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტის აღსრულების ვალდებულებას. პრობაციის სააგენტო აღნიშნული სამართლებრივი აქტების აღსრულებას უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების მეშვეობით.

პრობაციის სააგენტოს მიზნებს წარმოადგენს : საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, ასევე არასრულწლოვანი მსჯავრდებულების გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრებად დაბრუნება.[115]

პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, დელიქვენტი მოზარდის აუცილებელი ზედამხედველობით, ასევე, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობით. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის, რადგან იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება დელიქვენტი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, იგი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს.

პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას კვირაში

---

[113] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი №2“, 2012, გვ. 297

[114] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.57

[115] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.76

ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ასევე შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას მათ შორის : არ დაამყაროს კონტაქტი იმ ადამიანებთან, რომლებმაც შეიძლება მოზარდი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში; პრობაციის ეროვნული ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს; თავი შეიკავოს გარკვეული ადგილების მონახულებისგან; გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის მკურნალობის კურსი, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია - ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი და სხვა.

არასრულწლოვნის მიერ დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.[116] კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის მიერ დადგენილი რეჟიმის მესამედ და მეტჯერ დარღვევა შეიძლება გახდეს პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის საფუძველი. [117]

თუ არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა სასჯელის მოუხდელ ვადაში ჯიუტად თავი აარიდა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისას მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, პრობაციის ბიუროს უფროსი სასამართლოს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი წარდგინებით: პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულების შესახებ; პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების შესახებ; არასრულწლოვნისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ან მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო გამოსაცდელი ვადის არა უმეტეს ერთი წლით გაგრძელების შესახებ.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს სასამართლო განიხილავს მაშინაც, როდესაც არასრულწლოვანი მსჯავრდებული ჩაიდენს განზრახ ან გაუფრთხილებლობით დანაშაულს. [118]

პრობაციის ეროვნული სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული სამართლებრივი აქტების უშუალოდ აღსრულებას უზრუნველყოფს პრობაციის ოფიცერი, რომელიც

---

[116] ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), საიუბილეო სტატიათა კრებული „ მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014, გვ.89

[117] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 55

[118] ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 57

აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას.[119] პრობაციის ოფიცერი ამასთანავე, ეხმარება მსჯავრდებულს შრომით მოწყობაში; ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას; სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმისა და რისკების შეფასების მიხედვით, კონტროლს უწევს სასამართლოს მიერ არასრულწლოვნისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტების აღსრულების პროცესში ჩართულია სოციალური მუშაკი, რომელიც სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის, მოზარდის რისკების შეფასებისა და სარეაბილიტაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით ხვდება მოზარდს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ვიზიტს მის ოჯახში; კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული მიზნის მიღწევას; მონაწილეობს არასრულწლოვნის რისკის შეფასებასა და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში; ასევე, ახორციელებს სარეაბილიტაციო პროგრამებს და სხვა.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტის აღსრულების პროცესში ჩართულია ფსიქოლოგიც, რომელიც : რისკის შეფასების, ასევე სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ხვდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს და უწევს მათ ფსიქოლოგიურ მომსახურებას; ასევე, აქტიურად მონაწილეობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულის რისკის შეფასებასა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში; ამასთანავე, ახორციელებს ბიო-ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.

პრობაციის ეროვნული სამსახურის მხრიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებული არასრულწლოვნის რისკებისა და ინდივიდუალური სასჯელის გეგმის განხორციელების პერიოდული შეფასება, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის უშუალო და ძირითადი კომპონენტია.[120] სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარეშე, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა მიერ დადგენილი პირობების დარღვევის ალბათობა მაღალი იქნება.[121]

---

[119] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ. 43

[120] ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფისს ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), საიუბილეო სტატიათა კრებული „ მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014, გვ.90

[121] ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019, გვ.63

§ 3. სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა არასრულწლოვნებზე ევროპის ქვეყნებში

ევროპის ქვეყნებში განსხვავებულად ხორციელდება სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა არასრულწლოვნებზე. ჩეხეთში პრობაციის ეროვნული სამსახურის ოფიცრები თანამშრომლობენ, არასრულწლოვან დამნაშავეებთან და მათი ოჯახის წევრებთან, ასევე ახორციელებენ რესოციალიზაციის შესაბამისი პროგრამებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებას.[122] იტალიაში კი არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა პრობაციის სამსახური ერთმანეთისგან არის გამიჯნული. არასრულწლოვნებისათვის არსებობს სპეციალურად მათთვის განკუთვნილი განყოფილებები, სადაც მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები.

ინგლისში არასრულწლოვნებს ენიშნებათ სოციალური მუშაკის ზედამხედველობა, ამასთანავე მოზარდი ჩართულია სხვადასხვა სახის აქტივობებში. საზედამხედველოდ გადაცემის გადაწყვეტილება, ასევე, შეიცავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ გარკვეული აქტივობებისგან და ადგილების მონახულებისგან თავის შეკავებას. უნგრეთსა და პოლონეთში პრობაციის სამსახურს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რისკებისა და საჭიროებების შეფასების პროცესში.

გერმანიაში პრობაციის სისტემა აქტიურად თანამშრომლობს ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოებთან. მთავარ მიმართულებად არჩეულია არასრულწლოვნის არა დასჯა, არამედ მისი არასასურველი ქცევის შეცვლა, რაც უმეტესწილად მოზარდების ოჯახებთან მუშაობის გზით მიიღწევა. [123]

ავსტრიაში პრობაციის სამსახურის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს განმეორებითი დანაშაულის პრევენცია.[124] პრობაციის სამსახური არასრულწლოვან მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის მომსახურების გაწევაში ეხმარება; უზრუნველყოფს ტრენინგების ორგანიზებასა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის მომსახურების გაწევას დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; სასჯელის მოხდის შემდგომ ზრუნვას სთავაზობს არასრულწლოვნებს, რომლებიც გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, მაგრამ არ არიან პრობაციის ბიუროს ზედამხედველობის ქვეშ.

ესტონეთში პრობაციის სამსახურის პასუხისმგებლობაში შედის პირობით ვადამდე გათავისუფლების ბრძანების აღსრულება. პრობაციის სისტემაში მომუშავე ოფიცერთა

---

[122] Dünkel F., "Juvenile justice systems in Europe – current situation, reform developments and good practices", 2014, P 73

[123] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში", წიგნში : სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.719

[124] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.127

საქმიანობის ორ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

შვეიცარიის კონფედერაციასა და ჰოლანდიაში პრობაციის სამსახურის საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები მხოლოდ სრულწლოვან დამნაშავეებზე მუშაობენ, არასრულწლოვნებთან კი, სასამართლოს სპეციალური მითითებითა და დავალებით მუშაობენ სოციალური სამსახურის თანამშრომლები.[125]

რუმინეთში პრობაციის ეროვნული სამსახური ზედამხედველობს სრულწლოვნებს, ახალგაზრდა სრულწლოვნებსა (18-21 წლის) და არასრულწლოვნებს (14-18 წლის). პრობაციის სააგენტო ჩართულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღმა მყოფ მცირეწლოვნებთან მუშაობაშიც (14 წლამდე ასაკის). პრობაციის ზოგიერთი ოფიცერი უძღვება მოზარდების გათავისუფლებისათვის მოსამზადებელ პროგრამებს, მაგრამ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შემდეგ არასრულწლოვნების მიმართ მონიტორინგის ან/და მხარდაჭერის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა მათ არ ეკისრებათ.

უნგრეთში ნებისმიერ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც სასჯელის მოხდის შემდგომ თავისუფლდება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს ნებაყოფლობითი გათავისუფლების შემდგომი ზრუნვით. აღნიშნული წარმოადგენს პრობაციის სამსახურის კომპეტენციას.[126]

პოლონეთში კი პრობაციის ეროვნული სამსახურის ოფიცრები უფლებამოსილნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ არასრულწლოვნებს, რომლებიც პირობით ვადამდე გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. პრობაციის ოფიცერი მოზარდებს ამზადებს თავისუფლების აღკვეთის შემდგომი ცხოვრებისათვის.[127]

---

[125] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012., გვ.58

[126] მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „საპატიმრო სასჯელებია ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში“, წიგნში : სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.677

[127] Dünkel F., “Juvenile justice systems in Europe – current situation, reform developments and good practices”, 2014, P 78

§ 4. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტი

სასჯელის აღსრულების შემდგომი ზრუნვა, გულისხმობს არასრულწლოვნის ნებაყოფლობითი რეინტეგრაციის პროცესს, რომელსაც საბოლოო ჯამში მივყავართ გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნებისაკენ.[128] აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციას, სწორედ სასჯელის აღსრულების შემდგომი თანადგომა წარმოადგენს.

2012 წელს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, პირველად მოხდა ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელება, რომლის მიზანიცაა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებული მსჯავრებულების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.[129]

გათავისუფლებამდე ერთი-სამი თვით ადრე დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური სამუშაოს სპეციალისტები პენიტენციურ დაწესებულებებში ხვდებიან არასრულწლოვან მსჯავრდებულებს და აწვდიან ინფორმაციას სერვისების შესახებ.[130] ცენტრის სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს.

ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება მისი გათავისუფლებიდან 15 წლის განმავლობაში. საგამონაკლისო წესით, შესაძლებელია, ბენეფიციარი პროგრამაში ჩაერთოს იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი გათავისუფლებიდან გასულია 15 წელზე მეტი. ერთი საქმის ფარგლებში რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 წლისა.

საქართველოში მოქმედი დანაშაულის პრევენციის ცენტრი კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას სასჯელის მოხდიდან სულ მცირე ექვსი თვის განმავლობაში.

რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვა და მონაწილეობა ნებაყოფლობითია და შესაძლებელია ნებისმიერი ყოფილი მსჯავრდებულისათვის, მათ შორის, არასრულწლოვანი ყოფილი მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს პროგრამის სამიზნე ჯგუფისათვის დაწესებულ კრიტერიუმებს. პროგრამის სამიზნე

---

[128] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 43
[129] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ.57
[130] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.115

ჯგუფს წარმოადგენენ არასრულწლოვნები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკი ახორციელებს პირობით ვადამდე გათავისუფლებულ არასრულწლოვანთან რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში მუშაობას. საჭიროებების გამოვლენის შემდეგ, ბავშვთან შეთანხმებით, ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული გეგმის მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება. სოციალური სამუშაოს სპეციალისტები არასრულწლოვანთა საჭიროებებს გამოკვეთენ ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე და საჭიროებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას სარეაბილიტაციო პროგრამებში.

პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულ არასრულწლოვნებთან მუშაობისას, სოციალური მუშაკი აქტიურად მუშაობს მოზარდის სოციალურ გარემოსთან, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან.[131] მასთან მუშაობის პერიოდში ახორციელებს ვიზიტს ოჯახში, ესაუბრება ოჯახის წევრებს, ადგენს ოჯახის საჭიროებებს და არსებულ სერვისებზე დაყრდნობით ახდენს მათ დახმარებას.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში, აქცენტი კეთდება მოზარდის პროფესიულ გადამზადებაზე, დასაქმებაში ხელშეწყობაზე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაზე.[132] აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც საზოგადოების დაცვას არასრულწლოვნების განმეორებითი დანაშაულისაგან, ისე მოზარდის საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებას.[133]

ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველო უზრუნველყოფს მოზარდებისათვის საჭირო სერვისების იდენტიფიკაციას, არსებული სერვისების შესახებ მოზარდების ინფორმირებას; ბავშვების საჭიროებების გამოკვეთასა და პროცესის მონიტორინგს; არასრულწლოვნების ან/და მათი ოჯახის წევრებისთვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდებას; ასევე, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში არასრულწლოვანთა აქტიურ მონაწილეობას; გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდების დასაქმების მიზნით, საწარმოების შექმნისა და მათი ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობას.

---

[131] მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება–ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012, გვ.53

[132] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.117

[133] ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), საიუბილეო სტატიათა კრებული „ მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014, გვ.94

დასაქმების ხელშეწყობის მიმართულების ფარგლებში, არასრულწლოვნები გადიან პროფესიულ გადამზადებას სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებში. პროფესიული კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში მოზარდებს გადაეცემათ სერტიფიკატები. ბავშვების სოციალიზაციის, განათლებისა და პიროვნული გაძლიერების მიზნით აქტიურად ხდება მათი ჩართვა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგ კურსებში.[134]

დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროგრამა „ახალგაზრდული კლუბი" მუშაობს 12-დან 21 წლამდე არასრულწლოვნებთან. აღნიშნული კლუბის მისიაა დანაშაულის თავიდან აცილება და ჯანსაღი საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. არსებული პროგრამა მოზარდებისადმი კეთილგანწყობილ სივრცეს ქმნის, რაც მათ ეხმარება თავისუფალი დროის ნაყოფიერად და პროდუქტიულად გატარებაში. აღნიშნული პროგრამის მიზანია „ახალგაზრდულმა კლუბმა" ჩაანაცვლოს ქუჩა, მოზარდების ენერგია და პოტენციალი კი სასარგებლო აქტივობებისკენ იქნას მიმართული. კლუბში ხორციელდება სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც მოიცავს პირობით ვადამდე გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა მიმართ საზოგადოებაში არსებული „სტიგმის“ დაძლევის საინფორმაციო კამპანიას.[135] ასევე, აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

საქართველოს კანონმდებლობაში არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. განხორციელებული რეფორმების ფარგლებში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელ 40-მდე კანონში შევიდა ცვლილება; გაუმჯობესდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა; დაინერგა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროგრამა, რომელიც არასრულწლოვან მსჯავრდებულთა წარმატებული რეაბილიტაციისა და დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს; დაინერგა პატიმართა რისკების მიხედვით შეფასებისა და გადანაწილების სისტემა; გაუმჯობესდა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიმართულებები; გაძლიერდა პირობით ვადამდე გათავისუფლების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება გარდაიქმნა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებად. მიუხედავად აღნიშნულ სფეროში გატარებული რეფორმებისა, დღემდე არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების უფლებების ეფექტური დაცვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

---

[134] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ. 48

[135] არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.119

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპის არსი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა. დადგინდა აღნიშნული პრინციპის უპირატესობა სამართლის სხვა პრინციპებთან შედარებით.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილ იქნა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრინციპის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მიმოხილულ იქნა საერთაშორისო სტანდარტები, რომელშიც აღნიშნული პრინციპი არის გათვალისწინებული. დადგინდა, რომ არ არსებობს არასრულწლოვნის საერთო ცნება, ამასთანავე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით არასრულწლოვნის („ბავშვის“) ცნება, უმეტეს შემთხვევაში, 18 წლის ასაკს უკავშირდება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემაზე. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მოზარდებთან მიმართებით უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ და უკიდურეს ზომას. ნაშრომში გაკეთდა დასკვნა, რომ უნდა არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს პირობით ვადამდე გათავისუფლების ისეთ წინაპირობებს, როგორიცაა: პროგნოზირებადი შეფასებები და მცირე დროის მონაკვეთი, რომელიც ბავშვმა ვადამდე ადრე გათავისუფლებამდე სასჯელის სახით უნდა მოიხადოს. ნაშრომში საუბარი შეეხო იმ უარყოფით შედეგებს, რასაც გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთა მოზარდებში იწვევს, მათ შორის აღსანიშნავია, ციხის სუბკულტურაში გაერთიანების ალბათობის ზრდა, სოციალური გაუცხოება, ასევე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაავადებების წარმოქმნის რისკი და ა.შ.

ნაშრომში განხილულ იქნა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება. მოცემული საკითხის მიმოხილვისას ყურადღება დაეთმო პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ასევე, გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურებს, იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო მოზარდის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას ითვალისწინებს. კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის შედარება და ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების წარმოჩენა. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა მოზარდის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე, როგორც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის საშუალებაზე.

2012-2018 წლების სტატისტიკური მონაცემების შესწავლის და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა საერთო რაოდენობის 1%-5% შორის მერყეობს. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვან

მსჯავრდებულთა უმრავლესობას მამრობითი სქესის ადამიანები წარმოადგენენ. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მეტად მძიმეა იმ არასრულწლოვანთა მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობენ ან/და არ სწავლობენ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დელიქვენტ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა არის ეკონომიკური ხასიათის. ამასთანავე, ყოველი მეოთხე მოზარდის მიმართ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა, რაც სახელმწიფოში მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის არსებობაზე მიუთითებს. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ნათელია, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების რაოდენობა არცთუ ისე შთამბეჭდავია. აუცილებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის უფრო ხშირად გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვნებს ეხება.

სამაგისტრო ნაშრომში შესწავლილ იქნა, თუ რა საშუალებებითა და მექანიზმებით ახორციელებს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება მოზარდთა საუკეთესო ინტერესების დაცვას, სასჯელის მოხდის პერიოდში. კვლევის ფარგლებში გაკეთდა დასკვნა, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და აღსრულება წარმოადგენს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის საშუალებას.

მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილდა იმ რისკ-ფაქტორებზე, რომლებმაც არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა. შესწავლილ იქნა, როგორც დანაშაულის გამომწვევი ინდივიდუალური მიზეზები, როგორებიცაა : არასრულწლოვნის იმპულსურობა, ჰიპერაქტიურობა, გენეტიკური და ბიოლოგიური ფაქტორები, ისე სოციალური და საზოგადოებრივი რისკ-ფაქტორები, როგორებიცაა : ოჯახი, საგანმანათლებლო და ეკოლოგიური გარემო, თანატოლთა წრე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში აქცენტი გაკეთდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, მოზარდის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდეგ. შესწავლილ იქნა ის სახელმწიფო უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომ მის მხარდაჭერასა და დახმარებას. ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულ იქნა პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ღონისძიებები და მათი ეფექტურობა. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მეშვეობით მოხდა საქართველოსა და ევროპაში არსებული სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის შედარება, მსგავსებებისა და განსხვავებების წარმოჩენა.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების სისტემა უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რადგან მოზარდებს ეძლევათ საშუალება დაკისრებული სასჯელის სრულად მოხდამდე დატოვონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ამასთანავე, პირობით ვადამდე

ადრე გათავისუფლება ამცირებს არასრულწლოვნებში გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით გამოწვეული უარყოფითი შედეგების წარმოქმნის რისკს, რაც ემსახურება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის რეალიზებას. ბავშვობის ასაკში ჩადენილი გადაცდომა არასრულწლოვანს არ უნდა დაუჯდეს იმის ფასად, რომ მთელი შემდგომი ცხოვრება „დამნაშავის“ სტიგმის ქვეშ გაატაროს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში სანიმუშო ქცევა, რაც სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა, არასრულწლოვანს აძლევს საშუალებას, საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, არასრულწლოვანი დაკისრებული სასჯელის დარჩენილ ნაწილს იხდის მისთვის ჩვეულ გარემოში, ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, სახელმწიფოს მეტი ეკონომიკური და ადამიანური სახსრების დახარჯვა უწევს მოზარდებზე, ვიდრე ეს პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში ხდება. საგულისხმოა, ის გარემოება, რომ როგორი განვითარებული და არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებულიც არ უნდა იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვა სფეროები, როდესაც სასჯელაღსრულების სისტემა ხასიათდება ხარვეზებით, მაშინ აღნიშნული მიზნების მიღწევა შეუძლებელი ხდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის პიროვნებაზე. აუცილებელია დადგინდეს ის, თუ რამდენად შესაძლებელია არასრულწლოვნის სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ მისი რესოციალიზაცია. პირობით ვადამდე გათავისუფლება წარმოადგენს არასრულწლოვნის წახალისების ფორმას, რომელიც მოზარდს აძლევს სტიმულს, თავი შეიკავოს დანაშაულებრივი ქმედებებისგან.

პირობით ვადამდე გათავისუფლება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციას. აუცილებელია სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოზარდის გამოსწორებისათვის გატარებულმა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებმა, გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება და აღზრდა კანონმორჩილ მოქალაქედ. მნიშვნელოვანია აღნიშნული დადებითი ზეგავლენის დაკარგვა არ მოხდეს არასრულწლოვნის მიერ დაწესებულების დატოვებისთანავე.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია

* * *

ქართულენოვანი ლიტერატურა :

1. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2004
2. არსოშვილი გ., დამნაშავის რესოციალიზაცია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2009
3. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015
4. ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია-ყოვლისმომცველი მიდგომა, თბილისი, 2019
5. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013
6. ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1“, 2017
7. ვარძელაშვილი ი., სადისერტაციო ნაშრომი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016.
8. ივანიძე მ., „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017
9. ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1”, 2017

10. ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011

11. კოილი ე., პენიტენციური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007

12. კუბლაშვილი კ, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019

13. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, სამართლის ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი კანონი №4 (43) 14", თბილისი, 2014

14. მიქანაძე გ., არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან დაკავშირებული თავისებურებანი, თბილისი, 2009

15. მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება– ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა,სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა : მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2012.

16. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015

17. ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი მ., ხერხეულიძე ი., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2018

18. ნაჭყებია გ., თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., ცქიტიშვილი თ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016

19. ნიკოლეიშვილი კ., პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან, სამართლის ჟურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი № 2", 2014.

20. სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის. ნაწილი I,

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის გამოცემა, თბილისი 2011

21. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013

22. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017

23. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018

24. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013

25. ფაფიაშვილი ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2008

26. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015

27. შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, საიუბილეო სტატიათა კრებულში „მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014

28. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016

29. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2017

30. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014

31. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013

32. შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, „სამართლის ჟურნალი №2“, 2016.

33. ხასია მ., არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1“, 2017

34. ხასია მ., პენიტენციუ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი 2008

35. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი №2“, 2012

36. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სამართლის ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები № 1“, 2017

37. ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი“ (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), საიუბილეო სტატიათა კრებული „ მზია ლეკვეიშვილი-85“, თბილისი, 2014

38. ხუბუა გ., თორთლაძე ლ., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012

39. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თბილისი, 2013

უცხოენოვანი ლიტერატურა :

1. Padfield N., Van Zyl Smit D., Dünkel F., Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, 2010.
2. Liebling A., Maruna SH., The Effects of Imprisonment,2005.
3. Petersilia, J.,When Prisoners Come Home: Parole and Prisoner Reentry. Oxford: Oxford University Press, 2003.
4. Van Zyl Smit D, Snacken S., Hayes D., 'One cannot legislate kindness': Ambiguities in European legal instruments on non-custodial sanctions, Punishment & Society, 2015.
5. Naylor B., Schmidt J., Do Prisoners Have a Right to Fairness Before the Parole Board, Sydney Law Review, Vol. 32:437, 2010
6. Hammarberg T., The Principle of the Best Interests of the Child - What it Means and What it Demands from Adults, Strasbourg, 2008
7. Howe R.B., Covell K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, University of Toronto Press, 2013
8. D. Van Zyl Smit/ Sonja Snacken, Principles of European Prison Law and Policy, Penology and Human Rights, Oxford University Press Inc., New York, 2011.
9. General Comment №.14, On the Rights of the Child to Have his or her best Interests Taken as a Primary Consideration, Committee on the Rights of the Child, 2013
10. Dünkel F,, "Juvenile justice systems in Europe – current situation, reform developments and good practices, 2014
11. Tonry, M & Doob, AN (eds.), "Youth Crime and Justice", Chicago, London: University of Chicago Press (Crime and Justice vol. 31), 2004
12. Cavendar G., Parole: A Critical Analysis. Port Washington: Kennikat Press, 1982,
13. Alston P., Gilmour-Walsh B., The Best Interests of The Child-Towards a Synthesis of Children's Rights and Cultural Values, UNICEF, 1996,

14. Lippman M., Coteremporary criminal law; Concepts,cases and controversies, 2018

15. Junger-Tas J., Many Faces of Youth Crime: Contrasting Theoretical Perspectives on Juvenile Delinquency across Countries and Cultures, New York, NY, USA: Springer, 2012

16. Gerry M,. "Age and Criminal Responsibility." 2005 Vol 2. Ohio State Journal of Criminal Law

ნორმატიული მასალა

1. 1995 წლის, 24 სექტემბრის, საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით.

2. 1999 წლის 22 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით.

3. 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით.

4. 2010 წლის 9 მარტის საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 2018 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით.

5. 2007 წლის 2 ივლისის საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 2019 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით.

6. 2018 წლის 7 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №320 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 15 აპრილის მდგომარეობით.

7. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია

8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1985 წლის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1990 წლის 14 დეკემბრის „სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით“

სასამართლო გადაწყვეტილებები :

1. Hirst v. United Kingdom, Application no. 74025/01, 6 October, 2005

2. Mammadov v. Azerbaijan, Application no. 15172/13, 29 May, 2019

ინტერნეტ-რესურსი:

1) https://www.geostat.ge
2) http://sps.gov.ge
3) http://www.supremecourt.ge/statistics
4) https://www.coe.int
5) https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes
6) http://www.ombudsman.ge
7) http://www.probation.gov.ge

დანართი №1

სტატისტიკური მონაცემები

მოცემული ცხრილი ასახავს არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობას მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით[136]

წლები	მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა	მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა	%
2012	10 922	475	4.3
2013	15 166	456	3.0
2014	16 776	381	2.3
2015	15 139	292	1.9
2016	15 640	146	0.9
2017	14 517	197	1.4
2018	15 846	212	1.3

[136] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესისა და ასაკის მიხედვით[137]

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა	475	456	381	292	146	197	212
ვაჟები	450 (94.7%)	443 (97.1%)	365 (95.8%)	285 (97.6%)	144 (98.6%)	192 (97.5%)	209 (98.6%)
გოგონები	25 (5.3%)	13 (2.9%)	16 (4.2%)	7 (2.4%)	2 (1.4%)	5 (2.5%)	3 (1.4%)
14-15 წლის	129 (27.2%)	126 (27.6%)	113 (29.7%)	69 (23.6%)	39 (26.7%)	55 (27.9%)	56 (26.4%)
16-17 წლის	346 (72.8%)	330 (72.4%)	268 (70.3%)	223 (76.4%)	107 (73.3%)	142 (72.1%)	156 (73.6%)
არ მუშაობს, არ სწავლობს	275 (57.9%)	307 (67.3%)	288 (75.6%)	224 (76.7%)	118 (80.8%)	153 (77.7%)	168 (79.2%)

[137] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა[138]

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
განზრახ მკვლელობა	17	7	6	7	4	7	4
ქურდობა	271	293	229	142	67	142	135
ძარცვა	26	35	36	30	21	30	5
ყაჩაღობა	14	24	17	16	17	16	8
ხულიგნობა	17	7	0	1	2	1	0
სხვა დანაშაული	101	56	59	69	21	69	33

[138] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ სასჯელთა სახეები და მათი პროცენტული მაჩვენებლები[139]

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
თავისუფლების აღკვეთა	129 (27.2%)	117 (25.7%)	104 (27.3%)	87 (29.8%)	46 (31.5%)	47 (23.9%)	50 (23.6%)
პირობითი მსჯავრი	290 (61.1%)	298 (65.4%)	253 (66.4%)	173 (59.2%)	78 (53.4%)	95 (48.2%)	123 (58.0%)
ჯარიმა				30 (10.3%)	6 (4.1%)	6 (3.0%)	4 (1.9%)
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა				1 (0.3%)	6 (4.1%)	13 (6.6%)	18 (8.5%)
შინაპატიმრობა				1 (0.3%)	9 (6.2%)	36 (18.3%)	17 (8.0%)
სხვა სასჯელი	56 (11.8%)	41 (9.0%)	24 (6.3%)				

[139] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics

პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა[140]

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა	1644	1579	894	1033	972	1050	821
პირობით ვადამდე გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა	18 (1.09%)	34 (2.15%)	21 (2.35%)	27 (2.61%)	23 (2.35%)	21 (2%)	17 (2.07%)

[140] წყარო : საქართველოს უზენაესი სასამართლო http://www.supremecourt.ge/statistics